ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 220 (18762) შაბათი, 24 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სოფლის პროფტექნიკური სასწავლებელი

ყოველ სკოლას მისი მოსწავლეები უხვეჰენ სახელს. სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების კოლექტივები ამაყობენ იმით, რომ მათ 450 კურსდამთავრებულს მიენიჭა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო—სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ერთი მათგანია ალექსანდრე ალექსის ძე კრივენჩი — კრასნოდარის მხარის სტარომინსკის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი. „მადლიერებით ვიხსენებ მუშურ მეცნიერებას, რომელსაც მაზიარეს № 4 სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებელში,—თქვა მან,—აქ მასწავლეს არა მარტო „ველის ხომალდის“ ტარება, არამედ ისიც, რომ ბატონ-პატრონად მეგონა თავი მიწაზე“.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული კვალიფიციური მუშათა კადრებით აგროსამრეწველო კომპლექსის უზრუნველყოფაზე. ეს მიიჩნია თავის ძირითად ამოცანად სოფლის პროფტექნიკურ სკოლას. ორი ათასზე მეტი სასწავლებელი სთავაზობს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დაახლოებით ას პროფესიას, ყოველწლიურად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მელიორაციის საწარმოებში მოდის 700 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა. მაგალითად, ლენინგრადისა და აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქებში სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლები გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ცენტრებად.

დღეს სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების 80 პროცენტი სპეციალობასთან ერთად ახალგაზრდებს საშუალო განათლებასაც აძლევს. სასკოლო ათწლედის კურსდამთავრებულები, რომლებმაც გაღრმავებული შრომითი სწავლება გაიარეს, შემცირებული პროგრამით მეცადინეობენ. ახალი სასწავლო გეგმები ასახავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწევებს, საშუალებას გვაძლევენ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეზე ვუძღვებოდეთ აღმზრდელობითს პროცესს. ბევრ სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებელში აქვთ სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი და თვალსაჩინო სახელმძღვანელოები. უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა.

მიუხედავად ამისა, კვალიფიციური მუშაკებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. სისტემატურად იფუშება საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდების მიღების გეგმები. მაგალითად, ბელგოროდის, ტამბოვის, კურსკის, ვორონეჟისა და ორენბურგის ოლქებში სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი მუშათა შევსების მხოლოდ მეხუთედს შეადგენს. ცოტას ამზადებენ მექანიზატორებს უკრაინასა და ყაზახეთში, მეცხოველეებს — ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში მცირდება სოფლის ელექტრიკოსების, ზეინკლებისა და მელიორატორების გამოშვება.

ზოგან შექმნილ მდგომარეობას ამა თუ იმ პროფესიის არაპოპულარობით ამართლებენ. ეს კი მხოლოდ მინდვრებსა და ფერმებში ნაყოფიერ შრომაში ყმაწვილობის გვიან ჩაბმის, პროფორიენტაციაში ფორმალიზმის შედეგია. სასწავლებლების, საბაზო მეურნეობებისა და განათლების ორგანოების ურთიერთდაინტერესებული თანამეგობრობის გამოცდილება, რომელიც შეძენილია ლიტვაში, მოსკოვის, ვიტებსკის, დნეპროპეტროვსკის ოლქებში, მოწმობს: „არაპოპულარობის“ დაძლევა შეიძლება. ცოტა ახალგაზრდები შედიან სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და სოფლტექნიკის საწარმოების საგზურებით, თუმცა პროფტექნიკური სკოლის ხშირად ახალი კურსდამთავრებულები არიან ყველა საინდუსტრიო წარმოების მუშაკები. იმისათვის, რომ სასწავლებელში მომავალი მიღება მთლიანად შეესაბამებოდეს კვალიფიციურ კადრებზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს, პროფტექნიკური განათლების სისტემის მუშაკები მისთვის დროულად, ახლავე უნდა მოემზადონ. ამ მუშაობას მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

უახლოეს მომავალში ყოველ აგრარულ რაიონს უნდა ჰქონდეს სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, რაც დაეჩქარებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნას, ხელს შეუწყობს კადრების პრობლემის გადაჭრას. კარგი მაგალითი მოგვცეს საქართველოს სს რესპუბლიკისა და თათრეთის ას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, რომლებმაც პროფტექნიკურ სკოლას სასწავლო-საკურსო კომბინატები გადასცეს. მაგრამ მთლიანად ქვეყანაში დასახული ამოცანის გადაჭრას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. დღის, საღამოსა და ტექნიკური სასწავლებლების ქსელი სუსტად ვითარდება. სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ სასწავლო კომპლექსების საექსპლოატაციოდ გადაცემის ხუთწლედის დავალებებს, სამშენებლო სამინისტროების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გაანალიზოსონ სერიოზული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ პროფტექნიკური განათლების ობიექტების დადგენილ ვადაში ამოქმედება.

ზოგიერთი პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები ცუდად არიან დაუფლებულნი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს, ნაყოფიერად ვერ იყენებენ თანამედროვე ტექნიკას. ეს აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, სასწავლებლების მატერიალური ბაზის სისუსტით. ბევრ მათგანს, განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, აკლიათ ტრაქტორები და ავტომობილები, მოსავლის ასაღები და სამელიორაციო ტექნიკა, ფერმების მოწყობილობა. საწარმოო სწავლების პროგრამები იფუშება აგრეთვე სათადარიგო ნაწილების ან საწვავ-საპოხი მასალების უქონლობის გამო. ვერაფრით გავამართლებთ იმას, რომ საბაზო საწარმოები ასეთ სიტუაციაში არ ეხმარებიან სასწავლებლებს.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მომავალ ოსტატთა ჩამოყალიბებაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობებს. მარტო შარშან მოსწავლეებმა მოიყვანეს 2,75 მილიონი ცენტნერი მარცვლეული და 68 ათასი ცენტნერი ბამბა. მიიღეს 245 ათასი ცენტნერი რძე და 77 ათასი ცენტნერი ხორცი. მინდვრებისა და ფერმების მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევიან ბელორუსიისა და რიაზანის ოლქის მრავალდარგოვანი სასწავლო მეურნეობები. მიუხედავად უდავო ღირსებებისა, საყურადღებო გამოცდილება ფართოდ ვერ ვრცელდება. სასწავლო მეურნეობები არ არის თითქმის ყოველ მეხუთე პროფტექნიკურ სასწავლებელში. მათი ფართობები, როგორც წესი, არ არის შეტანილი მიწათმოქმედების, სამელიორაციო და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების გეგმებში. იმისათვის, რომ სასწავლო მეურნეობები უზრუნველყოფილი იყოს ყოველივე საჭიროთი, უნდა იზრუნონ აგროსამრეწველო გაერთიანებებმა.

სერიოზული პრობლემაა პროფტექნიკური სკოლის კურსდამთავრებულთა დამკვიდრება შრომითს კოლექტივებში. საშუალოდ ქვეყანაში ყოველწლიურად სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა 30 პროცენტი ტოვებს მეურნეობებს, სადაც გაიგზავნენ, ხოლო ლატვიის სს რესპუბლიკაში, გორკის, პერმის, ორიოლის ოლქებში — უფრო მეტიც. ზოგჯერ ახალგაზრდა მუშებს იყენებენ არასპეციალობით, აძლევენ მათ გაცვეთილ ტექნიკას, არ ზრუნავენ ახალგაზრდების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მუშათა ცვლას, უფრო მკაცრად მოჰკითხონ იმ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებიც ივიწყებენ ახალგაზრდებს საჭიროებენ.

სოფლის პროფტექნიკური სკოლის მოსწავლეებმა ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულებაში. დაე მათი შრომითი ბიოგრაფიის ყოველი დღე ემსახურებოდეს საკეთილდღეო შემოქმედების, აღმშენებლობის სიხარულით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სისტემის განვითარების კომპლექსური პროგრამის შემუშავების საკითხი, როგორც სხდომაზე აღინიშნა, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენი პარტია და სახელმწიფო მუდმივ ყურადღებას უთმობენ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას. წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები, მატულობს მათი შემოსავალი, იზრდება მყიდველობითი უნარი. ხორციელდება ღონისძიებანი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების თანამიმდევრული გადიდების, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების, მოსახლეობის მომსახურების მოცულობისა და სახეობათა გაფართოებისათვის.

ამასთანავე ბევრი სხვადასხვა საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე, მათი ხარისხი, აგრეთვე მომსახურების კულტურა ჯერ კიდევ ჩამორჩება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნებს, იწვევს მშრომელთა სამართლიან საყვედურს. ყოველივე ეს დაბეჯითებით მოითხოვს ავიყვანოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება თვისებრივად ახალ დონეზე, ამასთან ფართოდ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია, დაჩქარებით განვავითაროთ მომსახურების სფერო, მათ შორის, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურება, საცხოვრებელი ბინების რემონტი და მშენებლობა, მოსახლეობის დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ინიციატივის შემდგომ ამაღლებას, მთელი არსებული შესაძლებლობებისა და რეზერვების უფრო სრულ გამოყენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საჭიროდ ცნო შემუშავდეს 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების შემადგენლობაში უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სისტემის განვითარების კომპლექსური პროგრამა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული საბჭოთა ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების ყველაზე სრული დაკმაყოფილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა და მოიწონა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა მოსკოვის 1983 წლის 20 სექტემბრის თათბირის შედეგები, რომელიც საერთაშორისო და იდეოლოგიურ საკითხებს მიეძღვნა. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშემედებით კვლავაც მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებს, გაირჯება ომის საფრთხის დასაცხრომად, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასამკვიდრებლად. ამ მიზნების მისაღწევად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განაგრძობს აქტიური თანამშრომლობას სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან, რომლებსაც შეგნებული აქვთ ბირთვული კონფლიქტის რეალური საფრთხე. თანამედროვე ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ განეკუთვნოთ ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობის სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო ინიციატივების, ევროპაში ბირთვული იარაღის შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებათა აზრი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომმე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მათი შეთანხმებული, კონსტრუქციული მშვიდობიანი პოლიტიკა ახლანდელ მწვავე საერთაშორისო მომენტში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობასა და განვითარებას ყველა ხალხის ინტერესების შესაბამისი მიმართულებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიიწონეს სოფიაში საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ გამართული მოლაპარაკების შედეგები, აგრეთვე იმსჯელეს საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის

ამხანაგი ნ. ი. რიჟკოვი საქართველოში

ორი დღის განმავლობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ნ. ი. რიჟკოვი ეცნობოდა რესპუბლიკის ცხოვრებას, მისი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. იგი იყო ფოთში, ქუთაისში, მაიაკოვსკსა და თბილისში, ეწეოდა მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, ესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, დაათვალიერა ღირსშესანიშნაობანი.

ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა დადებითად შეაფასა ეკონომიკის, მისი ძირითადი დარგების განვითარებისადმი ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანოებიის საქმიანობა, გამოთქვა მთელი რიგი რჩევა-დარიგებანი ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

ქალაქ ფოთში პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. დ. გულუაძ სტუმარს გააცნო ქალაქისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების პრობლემები, ესაუბრა ტერიტორიულ-დარგობრივი მართვის სამეურნეო ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც აქ უკვე მესამე წელია მიმდინარეობს და რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო ოპერატიული გავლენა მოახდინოს საქმის ვითარებაზე, სრულყოფილ დაგეგმვა, ეფექტიანად გამოიყენონ ყველა ბერკეტი საზოგადოებრივი წარმოების დონის ამაღლებისათვის.

ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა დადებითად შეაფასა ეს ექსპერიმენტი, აღნიშნა, რომ საჭიროა იგი ფართოდ გავრცელდეს. როცა შეეხო საერთოდ ექსპერიმენტებს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საქმეში აჩქარება არ ვარგა. ექსპერიმენტები გულდასმით და ყოველმხრივ უნდა მოვიფიქროთ, ავწონ-დაწონოთ, გავაანალიზოთ მათი მიმდინარეობა და შედეგები, ყოველმხრივ დავასაბუთოთ ეკონომიკურად, ამ თვალსაზრისით ფოთის ექსპერიმენტი, თქვა მან, აგრეთვე შეიძლება გამოდგეს მაგალითად.

ქალაქ ქუთაისში ამხანაგი ნ. ი. რიჟკოვი დაინტერესდა ავტოქარხნისა და მოტობლოკების ქარხნის კოლექტივების წინაშე დასმული პრობლემებით. ავტოქარხანაში მან დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლის ნიმუშები. უკვე წელს მან უნდა გამოუშვას პირველი 200 ასეთი მანქანა. ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა მოიწონა შრომითი კოლექტივის მეცადინეობა სახალხო მეურნეობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვების მოგვარებაში, ამასთან უურჩია მეტი ყურადღება დაუთმონ მთავარ კონვეიერზე სამუშაოთა ტემპის დაჩქარებას.

მოტობლოკების ქარხანაში სკკაასი გაიმართა აქ ჯერ კიდევ არსებულ გადასაწყვეტ საკითხებზე, კერძოდ, აქ შენდება კორპუსები, მაგრამ ჯერჯერობით არ არის მოწყობილობა, ტექნიკური დოკუმენტაცია, აღჭურვილობა და ა. შ. გამოითქვა კრიტიკა იმ უწყებათა მიმართ, რომლებიც საჭირო ზომებს არ იღებენ საწარმოს დროული ამოქმედებისათვის.

თბილისში ამხანაგი ნ. ი. რიჟკოვი იყო ელმავლაშენებელ ქარხანაში. აქ შეეხნენ მაგისტრალური ელმავლების ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის გაძმტკიცებას, შინაგანი რეზერვების უფრო სრულად გამოყენების საჭიროებას. მან კოლექტივს ურჩია, სერიოზულად აამაღლოს მთელი სამეურნეო მუშაობის დონე ქარხნის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად. ამ საქმეში მნიშვნელოვანია ყველაფერი — გაბედულებაც ექსპერიმენტებში, ახალი რეზერვების ძიებაც, ადგილობრივი რესურსების გამოყენებაც, მეცნიერული ნამუშევრების უსწრაფესი დანერგვაც.

საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებთან შეხვედრის დროს ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა გამოიკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფის პირობები, რა ღონისძიებანი ხორციელდება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებისათვის, ხელის შრომის წილის შეკცირებისათვის, მართვის პროცესების სრულყოფისათვის.

მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გულწრფელი მადლობა გამოთქვეს უდიდესი ზრუნვისათვის, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ მშრომელი ადამიანისადმი, განაცხადეს, რომ იწონებენ ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს.

მშრომელებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, რომ პარტიის ზრუნვის პასუხად არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა კიდევ უფრო ააყვავონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკა და კულტურა, განამტკიცონ მისი თავდაცვითი ძლიერება.

რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობის დროს ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, ამხანაგები გ. დ. გაბუნია, გ. ვ. კოლბინი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

დეგიუვეების სცენა, ოსტავროგის სცენა

22 სექტემბერს საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ახალმა სასწავლო თეატრმა დადგა საზეიმო თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელიც თავისი დაბადების დღეს მიუძღვნა.

სპექტაკლზე იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, დ. ლ. ქართველიშვილი, გ. დ. გაბუნია.

უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის, რესპუბლიკის მთელი თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ე. გუგუშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას ქართული სცენური ხელოვნების განვითარებაზე, თეატრის მომავალზე მუდმივი ზრუნვისათვის. სასწავლო თეატრის სცენა, თქვა მან, იქნება თავისებური „სასტარტო მოედანი“ ჩვენი სტუდენტების — მომავალი რეჟისორებისათვის, მსახიობების, დრამატურგებისათვის, გახდება პროფესიული ოსტატობის სკოლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა ხელოვნების მოღვაწეებს ახალი რთული ამოცანები დაუსახეს — მკაფიო და მგზნებარე სიტყვით აღზარდონ კომუნისტური საზოგადოების ადამიანი, მთელი სისრულით გააშუქონ თანამედროვე ცხოვრება, დაძლიონ უსულგულობა, ფორმალური დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი. სწორედ ეს უნდა ვასწავლოთ ჩვენს შემოქმედ ახალგაზრდობას. სწორედ ამის გათვალისწინებით წარიმართა სასწავლო თეატრის მთელი მუშაობა და უწინარეს ყოვლისა, მისი სარეპერტუარო პოლიტიკა, რომელშიც აისახება ყოველი შემოქმედებითი კოლექტივის იდეურ-მხატვრული პოზიცია. (საქინფორმი).

24 სექტემბერი პროპაგანდისტის დღეა

პროპაგანდისტის დღეს წარმატებით ხვდება „თბილისქალაქმშენის“ მე-14 ტრესტის ეკონომიკური ლაბორატორიის უფროსი და პროპაგანდისტი ალექსი თაბაგარი, რომელსაც „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

სურათზე: მემონტაჟეთა მოწინავე ბრიგადის წევრები ა. ჯაგარიანი, შ. გოგიტიძე, ვ. კონდრატოვი, გ. ჯანიაშვილი და ლ. ბანძელაძე პროპაგანდისტს დღეს ულოცავენ თავიანთ პროპაგანდისტს ა. თაბაგარს (ცენტრში).

შ. კრიმსკის ფოტო.

თავი გამოიჩინეს კაპიტალურ მშენებლობაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის 1983 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

№ 1, „სპეცმშენის“ და „საშენი მასალების“ ტრესტები.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“, თბილისის კერამიკული კომბინატი, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა, სადახლოს მარმარილოს მაღაროთსამმართველო, ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშა“.

საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ხაზით:

ტრესტები: „საქსანტექმონტაჟი“, „საქელექტრომონტაჟი“, „თბომშენი“, „მრეწვევნტილაცია“, „მონტაჟთერმოიზოლაციის“ სამმართველო, თბილისის „ფოლადკონსტრუქციის“ სამმართველო, გარდაბნის სამონტაჟო ნამზადების ქარხანა.

საპროექტო ინსტიტუტების ხაზით:

საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, თბილისის ზონალური ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „ბმიმქრეწველექტროპროექტის“ თბილისის განყოფილება, „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილება, „საქსახპროექტი“, „მშენინდუსტრიის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს საქართველოს ფილიალი, საქართველოს კომუნალური მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი.

სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით:

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტი.

ჩამოთვლილი ორგანიზაციების გარდა გამარჯვებულებად ცნეს იმ გენსაიჯარო და ქვესაიჯარო ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც მუშაობენ შემდეგი ობიექტების მშენებლობაზე:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

№ 2 ტრესტში: სოფელ ტაბახმელის ბიოკომბინატი, ახმეტის რაიონის სოფელ არაშენდის სკოლა.

№ 8 ტრესტში: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს გაზწმენდა.

№ 3 ტრესტში: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სასწავლო კორპუსი.

№ 13 ტრესტში: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

№ 4 ტრესტში: წნორის მეცხოველეობის კომპლექსის № 2 ფერმის რეპროდუქტორი.

№ 5 ტრესტში: ზუგდიდის კარტოფილსაცავი.

№ 12 ტრესტში: თელავის საღორე.

„საქკურორტმშენის“ ტრესტის ხაზით:

პანსიონატი „მიუსერა“ (სამკურნალო საცურაო აუზი, ნავმისადგომი, ელინგი), ფოთის ტურბაზის საძინებელი კორპუსი, ცხვარიჭამიის საძინებელი კორპუსი, დიღმის ტურბაზის საძინებელი კორპუსი.

„საქკავასელექტრომქსელმშენის“ ტრესტის ხაზით:

35 კილოვატი სიმძლავრის ქვესადგური საბურთალო 1,35 კილოვატი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზები ლილოში. (საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდება მიენიჭათ:

აბრამიშვილს შოთა სერგოს ძეს — საჩხერის რაიონის პერევის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს; **აბრამიშვილს** შოთა შალვას ძეს — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მრომისა და ხელფასის განყოფილების გამგეს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს; **აბულაძეს** შოთა პავლეს ძეს — საქართველოს კომპარტიის ადგილობრივ რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს; **ასკერავს** ასკერ ყიარის ოღლის — დმანისის რაიონის მუფანლოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, კონკრეტული ეკონომიკის სკოლის პროპაგანდისტს; **აფხაზავას** სოსო ნიკოლოზის ძეს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის №2 რუსული საშუალო სკოლის დირექტორს, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს; **ბაგირეგს** მირზა დურსუნ ოღლის — მარნეულის რაიონის ყაჩაღანის №2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს, სემინარის ხელმძღვანელს; **ბახილაძეს** სულიკო ასლანის ძეს — ქედის რაიონის უჩხითის საშუალო სკოლის მასწავლებელს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს; **ბახტურიძეს** ალექსანდრე მარტიას ძეს — ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს; **ბენდელიანს** ზინა ალექსანდრეს ასულს — წულუკიძის საქსოვ-სართავი ფაბრიკის პარტკომის მდივანს, ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის პროპაგანდისტს; **ბულისკერიას** ნიკოლოზ მირაბის ძეს — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ორამჩირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს; **ვეკუას** გიორგი ერმილეს ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგეს, სემინარის ხელმძღვანელს; **გვაზავას** კუჩკან ესსატის ძეს — გუდაუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ცვლის დისპეტჩერს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს; **გვენეტაძეს** ვიოლეტა სიმონის ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საამქროს უფროსს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს; **გეგეშიძეს** დავით ვიქტორის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ფიუძვლების სკოლის პროპაგანდისტს; **დოლიძეს** ალექსანდრე ილარიონის ძეს — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს; **დოლიძეს** რევაზ ტიტეს ძეს — ზესტაფონის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს, სემინარის ხელმძღვანელს; **ზარნაძეს** რევაზ პიმენის ძეს — საზოგადოება „ცოდნის“ თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივანს, სემინარის ხელმძღვანელს; **ზვიადაურს** შამილ აბრამის ძეს—თიანეთის რაიონის ახალსოფლის 8-წლიანი სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს; **ზურაბიშვილს** ალექსანდრა სოლომონის ასულს — მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს; **თაბაგარს** ალექსი ბენედიქტეს ძეს — „თბილქალაქმშენის“ № 14 სამშენებლო ტრესტის ეკონომიკური ლაბორატორიის უფროსს, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის პროპაგანდისტს; **თევზაძეს** ბენია სამსონის ძეს — თბილისის კომბინატ „საქვაქრობამონტაჟის“ ინჟინერ-ტექნოლოგს, მარქსიზმ-ლენ

გეორგიევსკის ტრაქტატი—200

საქართველოში რუსეთის სწავლა ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების ფონი

ენებმა, ტრადიციებმა, წესჩვეულებებმა, კულტურათა თავისებურებებმა მიუხედავად საბჭოთა კავშირის ერებსა და ეროვნებებს აერთიანებთ ამაღლებული კომუნისტური იდეალების ერთგულება, პარტიის მიერ განსაზღვრული მიზნების ერთიანობა, საბჭოური ცხოვრების წესი, რომელიც აყალიბებს ახალი ადამიანის ხასიათს, შეხედულებებსა და აზროვნებას, გაჯანრობებს ცალკეულ ადამიანებსა და მთელ კოლექტივებს შორის ურთიერთობის ახალ სისტემას. აი, რატომ იყო, რომ, როცა საბჭოთა კავშირის სამოცი წლის განვითარების მთავარი შედეგები დაასახელა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა: „პროგრესული ტრადიციების, სულიერ ღირებულებათა ინტენსიური გაცვლის საფუძველზე აყვავდა სოციალისტური მრავალეროვნული კულტურა“. და კიდევ: „ჩამოყალიბდა სოციალისტური ერები, რომლებიც ახლა ქმნიან ახალ ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს“.

თუ გადავხედავთ იმ პერიოდს, სანამ ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო შეიქმნებოდა, თუ გავიცნობით მისი ხალხების ეროვნულ წარსულს, იოლად დავრწმუნდებით, რა ნარეკლიანი გზით მოვიდნენ ისინი დღევანდელ დღემდე, თავიანთი ისტორიის საბჭოთა პერიოდამდე, რა თავისებური გზით იქედგბოდა მათი ბედი. სულ მალე საბჭოთა საქართველო და მასთან ერთად მთელი ჩვენი სამშობლო აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის — ქართველი ხალხისათვის უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტის 200 წლისთავს, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა.

რუსეთთან შეერთებით საქართველომ თავიდან აიცილა გადაშენების საფრთხე, აგრესიული დამპყრობელი მეზობლების — სპარსეთისა და თურქეთის მხრივ შთანთქმის საფრთხე, რუსი ხალხის ბედი გაიზიარა. ამიტომ ჩვენ, მდელარი შთამომავლნი, გეორგიევსკის ტრაქტატს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტს ვუწოდებთ და მოწიწებით ვხრით თავს იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც განჭვრიტა საუკუნენი, ამოიცნო მომავლის სწორი გზა. ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით ვფურცლავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მატიანეს, ურთიერთობისა, რომლის მეტი ნაწილი საქართველოდან პეტერბურგისა და მოსკოვის გზით გადიოდა.

1760 წელს ერეკლე მეორის მაზამ, ქართლის მეფემ და ნაზეიმა პოეტმა თეიმურაზ მეორემ პეტერბურგს, ეროვნულ რუსეთს მიაშურა; მას თან მიჰქონდა საკრთო მტრის, სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის გეგმა. ორი წლის შემდეგ იქვე გარდაიცვალა იგი. დაახლოებით ამ დროიდან „სანქტ-პეტერბურგის უწყებებში „ხშირად ჩნდება სხვადასხვა ცნობები საქართველოს შესახებ. უფრო მოგვიანებით, უკვე 70-იან წლებში ერეკლე მეორის მოწვეეთი პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ი. გოლდენშტედტი. მან მთელი საქართველო მოიარა, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, ფოლკლორის დიდძალი მასალა შეაგროვა, რომელიც 1787 წელს, მისი აღკვდილის შემდეგ გამოცემულ ორტომეულში — „გოლდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის“ ორტომეულში შევიდა. მათმა ავტორმა საქართველოს ფრიად მნიშვნელოვანი რუკაც შეადგინა.

XVIII საუკუნემ ჩვენ დიდძალი მასალა დაგვიტოვა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მისი დიდი ჩრდილოელი მეზობელი, როგორ ცდილობდნენ მცირერიცხოვანი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, რაც შეიძლება მეტი რამ ემცნოთ რუსეთისათვის თავიანთი სამშობლოს შესახებ. ამას ხელს უწყობდა XVII-XVIII საუკუნეებში მოსკოვში შექმნილი ქართული დასახლება, რომლის ადგილას ახლა შექმნილია სახელმძღვანელო — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალი. მაშინდელი საქართველოს მმართველები და მათი თანამოსაგრენი ნადაგს უმზადებდნენ რუსეთთან მეგობრობას, რასაც შემდგომში გეორგიევსკის ტრაქტატის დადება და რუსეთთან დამოყვრება მოჰყვა.

ისტორიამ შემოგვინახა საინტერესო დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს, რუსეთს რომ მიდიოდნენ, თავიანთ მისიად მიაჩნდათ არა მარტო პოლიტიკური მოლაპარაკებანი მძლავრ სახელმწიფოსთან, არა მარტო მფარველობა მტრებისაგან, არამედ კულტურული ურთიერთობის მოგვარებაც. ასეთი საბუთია ვახტანგ VI-ის წერილი სახელმწიფო კანცლერ გ. ი. გოლოვკინს: „...გთხოვთ მოახსენოთ მის იმპერატორობითს უდიდებულესობას, — ნათქვამია წერილში, — რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებით ნაბრძანები იყო ქართულ ენაზე იბეჭდებოდეს წიგნები რუსეთში, ვითარცა იბეჭდებოდა უწინ“

ვახტანგ VI ცნობილია როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და მეცნიერი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი და კომენტატორი. საგანმანთლებლო მოღვაწეობაში მას მხარში ედგნენ შვილები — ბაქარ და ვახუშტი — დიდად განათლებული კაცნი, დიდი მეცნიერნი, ხოლო ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარებაში მისი თანამოსაგრე იყო ქრისტეფორე გურამიშვილი — დავით გურამიშვილის ძმა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 1736 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა ქართული სტამბა და გამოიცა რუსულ-ქართული ანბანი. ამას ორი მიზანი ჰქონდა: დახმარებოდნენ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს რუსული ენის შესწავლაში და ამასთანავე ხელი შეეწყოთ იმ რუსებისათვის, რომლებიც დაინტერესდებოდნენ ქართული ენით. უფრო მოგვიანებით, გასული საუკუნის დამდეგს, პეტერბურგში გამოვიდა იოანე ბაგრატიონის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, დავით ბატონიშვილის საქართველოს მოკლე ისტორია, ვახტანგ ბატონიშვილის (ერეკლეს ძის) წერილები და სხვ.

დაახლოებით XVIII საუკუნის შუა წლებიდან ხშირად გამოდის სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა საქართველოს შესახებ რუსულ ენაზე. 1773 წელს პეტერბურგში გამოვიდა „ბარამ-გულამდანიანი“, რომელიც თარგმნა „მოსკოვის უნივერსიტეტის ინფორმატორმა სიმეონ ეგნატიევმა“ (სიმონ ეგნატაშვილმა).

ამავე დროს მიმდინარეობდა რუსულ კულტურასთან ქართველი ხალხის გაცნობის პროცესიც. მაგალითად, XVIII საუკუნის 30-იან წლებში ვახტანგ ვახუშტის ძე ორბელიანმა დაწერა პროზაული ნაწარმოები, მასში მოცემულია პეტერბურგის მშვენიერი სურათი, რომელსაც გაუოცებია იგი „სამოთხებრივი „სილამაზით“. საქართველოს საელჩო მდივანმა გიორგი ავალიშვილმა, რომელიც ერეკლე მეორემ გაგზავნა პეტერბურგს 1784 წელს და რომელიც არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ მწერალი და მთარგმნელიც იყო, (ენციკლოპედიურობა, როგორც ვხედავთ, ქართველი ერის გამოჩენილ წარმომადგენელთა დამახასიათებელი თვისება გახლდათ) თარგმნა ა. სუმაროკოვის პიესები, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, მეფის კარზე. ამით დასაბამი მიეცა რუსულ-ქართულ თეატრალურ ურთიერთობას. სხვათა შორის, აქვე, რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქში მიიღეს განათლება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პროფესიული თეატრისა და დრამატურგიის შექმნის ინიციატორებმა ერასტი თურქესტანიშვილმა, დავით ბაგრატიონმა და სხვებმა.

რუსეთში, პეტერბურგში გზავნიდა გასანათლებლად საქართველო თავის საუკეთესო შვილებს. მათი მეშვეობით ეცნობოდა თანთანობაც რუსი ხალხის დიდ კულტურას, ევროპის მეცნიერული აზროვნების უახლეს მიღწევებს. აქ, პეტერბურგში დაიბადა და მიიღო განათლება პოეტმა, ქართული რომანტიზმის ფუძემდებელმა, გამოჩენილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ჭავჭავაძემ. იგი — ა. ს. გრიბოედოვის სიმამრი, გადმოსახლებული დეკაბრისტთა მეგობარი, ქართულ ენაზე პუშკინის ლექსების პირველი მთარგმნელი და განასახიერებდა ორი ხალხის მოწინავე, პროგრესული ძალების მზარდ კავშირს, თითქოს თავისი მამის, დიპლომატ გარსევან ჭავჭავაძის ანდერძს ასრულებსო, რომელიც ერთი იმათგანი იყო, ხელი რომ მოაწერეს გეორგიევსკის ტრაქტატს.

ამ თვალსაზრისით უდავო ინტერესს იწვევს ქართულ ლიტერატურაში პირველი რაზონრნელის, გამოჩენილი მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის გამონათქვამები, რომლის წიგნს „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი I. ლოგიკა“, რომელიც 1827 წელს გამოვიდა, დიდხანს ხმარობდნენ სახელმძღვანელოდ რუსი სტუდენტები. პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პირველმა კურსდამთავრებულმა, დოდაშვილმა ამ უნივერსიტეტს მეცნიერების უწმინდესი ადგილი უწოდა.

თვალნათლივ იგრძნობა იგი ცოდნის ბევრ სხვა დარგშიც. თანაც, ხშირად მიმდინარეობს ურთიერთგამდიდრების, ორმხრივი კავშირურთიერთობის პროცესი. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენთვის შედარებით ახლო დრო — XIX-XX საუკუნეების მიჯნა. მეცნიერი ქიმიკოსები ვ. მ. პეტრიაშვილი და პ. გ. მელიქიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი; მანამდე, ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში მუშაობის დროს მათ რამდენიმე ნიჭიერი მკვლევარი აღზარდეს, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები დადგნენ. ესენი გახლავან ნ. დ. ზელინსკი, ა. ე. ფერსმანი, ბ. ა. კაზანსკი და სხვები. ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა პ. გ. მელიქიშვილის მეცნიერული თანამშრომლობა მის მოწოფესთან აკადემიკოს ლ. ვ. პისარჟევსკისთან, რის შედეგადაც რამდენიმე ახალი ქვემეტალი და მარილისებრი შენაერთი აღმოაჩინა. 1899 წელს მონოგრაფიისათვის „ზეძანგების გამოკვლევა“ მეცნიერებს ლომონოსოვის პრემია მიენიჭათ. დ. ი. მენდელეევმა პ. გ. მელიქიშვილს და ლ. ვ. პისარჟევსკის „პერიოდული სისტემის განმმტკიცებლები“ უწოდა.

ქართული მათემატიკური სკოლა და, კერძოდ, მისი წარმომადგენლების გამოკვლევები დრეკადობის თეორიის დარგში, დაკავშირებულია ამ სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის სახელთან, რომელმაც გაათანაბრა პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც გამოჩენილ მათემატიკოსთან და გემმშენებელთან კრილოვთან სწავლობდა. თავის მხრივ ნ. ი. მუსხელიშვილის მოწაფედ თვლიდა თავს კოსმოსური კვლევის მთავარი თეორეტიკოსი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

ქართული მათემატიკური სკოლის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ორგანიზატორი და პირველი რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა.

დღეს ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ ქართული სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელოვან ტრადიციებს და დიდ დამსახურებას, და სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენოთ მისი იმ პირველი გამოჩენილი წარმომადგენლების მოღვაწეობა, რომლებიც რუსულ ნიადაგზე აღიზარდნენ. ესენი გახლავან პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის აღზრდილნი ილია გრუზინოვი (ნამჩავაძე), იუსტინე ჯანელიძე, ი. მ. სეჩენოვის მოწაფე, გამოჩენილი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი და სხვები.

და მაინც, თუ თანამედროვე ქართული მეცნიერების განვითარებაზე, რუსეთ-საქართველოს ყველაზე ფართო და ნაყოფიერ მეცნიერულ ურთიერთობაზე ვილაპარაკებთ, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერი აღმავლობის მთელ პროცესზე, პირველობა აქ, უყოყმანოდ, ფილოლოგიას ეკუთვნის. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1837 წელს მეცნიერი და მწერალი თეიმურაზ ბაგრატიონი დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებისათვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სპპატიო წევრად აირჩიეს. იგი ქართველოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია რუსეთსა და ევროპაში.

თეიმურაზ ბაგრატიონი მრავალი წლის მანძილზე პეტერბურგში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა. და ახლა, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულის წინ გათვალისწინებულია ქალაქ ლენინგრადში, ვასილის კუნძულზე მდებარე სახლი, რომელიც მის სახელს უკავშირდება, გადაეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, რათა იქ შეიქმნას სახლ-მემორიალი „ქართველები პეტერბურგში“, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიის ასახავს.

თეიმურაზ ბაგრატიონის თანამოსაგრე იყო აკადემიკოსი მარი ბროსე — დასავლეთ ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, რომელიც შემდგომში რუსეთს, პეტერბურგს ჩამოვიდა იმასთან დაკავშირებით, რომ მეცნიერებათა აკადემიამ აღძრა საკითხი შექმნილიყო ქართული ენის სამხეური ფილოლოგიის განყოფილება. პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრასთან, რომელიც 1845 წელს შეიქმნა და საფუძველი ჩაუყარა პეტერბურგში ქართველოლოგიის სკოლას, დაკავშირებულია პროფესორების დ. ჩუბინაშვილის, ა. ხახანაშვილის, ა. ცაგარელისა და სხვათა სახელები.

ქართველოლოგიის განვითარებამ საქართველოსა და მთელ ჩვენს ქვეყანას მარტო გამოჩენილი მეცნიერები კი არ მისცა, არამედ ხელიც შეუწყო ხალხს ეროვნული თვითშეგნების განვითარებას, თავისუფლებისმოყვარე იდეების გავრცელებას, რასაც რუსეთის დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი ასაზრდოებდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველმა ახალგაზრდობამ მასობრივად მიაშურა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს პეტერბურგში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ეკატერინე დადიანის სალონში იკრიბებოდნენ და რუსი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს ხვდებოდნენ ქართველი სტუდენტები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე და მრავალნი სხვანი: მათს იდეურ ჩამოყალიბებაზე უშუალოდ გავლენას ახდენდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები—ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი...

უფრო მოგვიანებით ილია წერდა: „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზღდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“. მაგ აზრს ავსებს და აკონკრეტებს ნიკო ნიკოლაძე. ერთ-ერთ სტატიაში, როცა ახასიათებს გავლენას, რომელიც ქართველ ახალგაზრდობაზე მოახდინეს ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლიუბოვმა და ჟურნალმა „სოვრემენნიკმა“. იგი წერს:

„რომ იცოდე, მკითხველო! რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ვეწოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენნიკის“) ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გონება და გვეწოდა ტკბილი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვიფენია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში... “

ქართველ სამოციანელებს — სულისკვეთებით ძმებს, პატრიოტებსა და თავისუფალ მოაზროვნეებს თერგდალეულები ეწოდათ. ისინი ხმა რუსეთში საქართველოს სამხედრო გზით მიდოდნენ დარიალის ხეობით, სადაც თერგი მოედინება.

იმ დროისათვის ამ ერთადერთ გზატკეცილს, რომელიც ამიერკავკასიას ჩრდილოეთთან აკავშრებდა, ახსოვს პუშკინი და ლერმონტოვი, ტოლსტოი და ზალიკაინი, რეპინი და ჩაიკოვსკი... აქ იხილეს მათ პირველად საქართველო, აქ მოიხიბნენ კავკასიის განუმეორებელი სილამაზით.

ფეხი ტრადიციების მტკიცე საძირკვლის შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში რუსეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდა. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ორი ხალხის კავშირურთიერთობისა და ლიტერატურათა ურთიერთგავლენის განმტკიცებაზე, — ეს იყო 1936 წელს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილებაში. ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით ქართული კომისიის მუშაობის დაწყება. ჩვეული მოვლენა გახდა ქართული ლიტერატურის დღეები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, ლიტერატორთა შეხვედრები პოეზიის დღესასწაულებზე მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში. დასამახსოვრებელი იყო, მაგალითად, 1982 წელს ლენინგრადში წარმატებით ჩატარებული ქართული პოეზიის საღამო და ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი საღამო.

თანამედროვე რუს მწერალთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავს საქართველოს, რომელმაც ჩვენს სამშობლოს ვლადიმერ მაიაკოვსკი მისცა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მაქსიმ გორკის, სერგეი ესენინისა და სხვათა ბიოგრაფიაში. მათ შორის არის სოციალისტური შრომის გმირი პოეტი მიხეილ დუდინი, რომელიც ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციას მეთაურობს; მას ეკუთვნის ქართველ პოეტთა მთელი რიგი ნაწარმოებების თარგმანები.

ქართული და რუსული კულტურების ურთიერთგამდიდრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ურთიერთობამ ხელოვნების სფეროში, რომელსაც ასევე შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვი.

XVIII საუკუნის მიწურულს პეტერბურგის თეატრის სცენაზე ბრწყინვადა შესანიშნავი კომედიური მსახიობი, წარმოშობით ქართველი სილა ნიკოლოზის ძე სანდუნოვი (ზანდუკელი), რომელიც პროგრესულად იყო განწყობილი, დიდი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობით გამოირჩეოდა და გაბედულად აღდგა მსახიობის ღირსებისა და უფლებების დასაცავად.

გასულ საუკუნეში თბილისში საგასტროლოდ ხშირად ჩამოდიოდნენ ალექსანდრას თეატრის წამყვანი ოსტატები მ. სავინა, ვ. დავიდოვი, კ. ვარლამოვი და სხვანი. მ. სავინას რეპერტუარში იყო ზეინაბის როლი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის პიესაში. თვით ამ გამოჩენილი რეჟისორისა და თეატრის ორგანიზატორის სახელი კი განუყოფელია მოსკოვის მცირე თეატრისაგან, ისევე როგორც ვ. მჭედლიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის სახელები განუყოფელია მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო თეატრის ისტორიისაგან.

ეს ტრადიციები დღესაც ცოცხლობს. სულ ახლახან, 60-იან წლებში სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე მიწვეული იყო სამხატვრო თეატრში, სადაც დადგა ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის სხვა ქალაქების თეატრებში წარმატებით უმუშავია გ. ლორთქიფანიძეს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან თეატრს, ლენინგრადის გორკის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს ახლა სათავეში უდგას ჩვენი დროის გამოჩენილი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ტოვსტონოგოვი; იგი თბილისელია, აქ დაიწყო თეატრალური მოღვაწეობა. მან ლენინგრადის სცენაზე ბრწყინვალე საქმეკაცები დადგა ქართველი ავტორების წაწარმოებთა მიხედვით. ესენია ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ამ ბოლო ხანს ძალზე სიტყვიერესად დადგა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ამ თეატრის მსახიობები თბილისის ხშირი სტუმრები არიან, ხალისით ჩამოდიან აქ საგასტროლოდ. დიდი წარმატებით ჩაიარა თბილისში გ. ტოვსტონოგოვის იუბილემ, მისმა შემოქმედებითმა საღამოებმა, ჩვენს ქვეყანაში სახელმოხვეჭილი ე. ლებედევის (მისი სასცენო ბიოგრაფიაც საქართველოს დედაქალაქში დაიწყო) ა. ფერენდლიხისა და სხვათა საღამოებმა.

რუსულ სცენაზე ქართულ დრამატურგიას პროპაგანდას უწევს კიდევ ერთი ყოფილი თბილისელი, ლენინგრადის კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. აგამირზიანი. ამ თეატრში დადგა მან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ხუ გეშინია დედა“ და სულ ცოტა ხნის წინათ — ისევ ნოდარ დუმბაძის პიესა „მარადისობის კანონი“.

„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულიაო“, — ამბობს რუსთაველი. სულიერ ღირებულებათა გულუხვი გაზიარება კიდევ უფრო ამდიდრებს, აღიმაგებს ხალხთა კულტურას, კიდევ უფრო აჩქარებს მის განვითარებას. ამას ადასტურებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელი ისტორია. აქ უკვე ლაპარაკია არა ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობაში თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წვლილზე, რაც საგანგებოდ აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის გამო გამართულ ზეიმზე.

მატულობს საქართველოს როლი საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში. ეს წვლილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. სხვა ფაქტორებს შორის ამას ხელი შეუწყო რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებამ, შრომითი კოლექტივების საქმიანმა თანამეგობრობამ და მეტოქეობამ, გამოცდილების ფართო გაზიარებამ. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი კეთილი ამხანაგობის, ერთგული მეგობრობისა და ჭეშმარიტი ძმობის კანონებით ცხოვრობს. ამ ურთიერთობის სიმტკიცე და სიმედოობა დაადასტურა პრაქტიკამ, ათწლეულების მშვიდობიანმა აღმშენებლობითმა შრომამ და ომის მძიმე წლებმა. ამიტომ, როცა ჩვენს მონაპოვრებზე, კულტურის მწვერვალების დალაშქვრაზე ვლაპარაკობთ, ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხების შემაკავშირებელი მეგობრობა კი არ შესუსტდა, კიდევ უფრო გამოიწრთო და სამშობლოს საუკეთესო შვილების სასწაულებრივი გმირობითა და თავდადებით განმტკიცდა.

ლენინგრადის ცაში ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს ქართველი მფრინავები მიხეილ მაჩაბელი და დავით ჯაბიძე. მიხეილმა გზა გადაუღობა მტრის თვითმფრინავს, რომელიც მის მეგობარსა და ესკადრილიის მეთაურს ალექსანდრეს ეხლტარნის უნდა ჰკვეთებოდა. ტყვიამფრქვეველი დაცხრილული მაჩაბლის თვითმფრინავს ცეცხლი მოედო და ჩამოვარდა... მეგობრის დაღუპვით დადარდიანებულმა ჯ. ბატურინმა მეზობელ ნაწილში იპოვა შავგვრემანი ყმაწვილი კაცი— მფრინავი ეგგენი ობრაზცოვი, რომელიც სამხრეთელს აგონებდა, თავისთან გადაიყვანა და როცა ჰაერში საბრძოლო დავალებას აძლევდა, რაციით უბრძანებდა ხოლმე: „მიხეილ მაჩაბელო — მომყევი!“. და ისიც მუდამ უპასუხებდა: „არის, ამხანაგო მეთაურო!“. მაგრამ ნამდვილი მაჩაბელი, თუ რმე, არ დაღუპულა, მძიმედ დაჭრილი იპოვეს პარტიზანებმა. მდენმე ხნის შემდეგ იგი საბრძოლო მწყობრს დაუბრუნდა და მეგობრები კვლავ შეკრებილ[illegible] მანგოს...

ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე მრავალ წერილს იღებდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ომის წლებში გადაურჩენია, ერთხელ როცა საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდა ალყაშემორტყმული ლენინგრადის მახლობლად, იგი შეესწრო, როგორ დაესხა თავს მტრის თვითმფრინავი ეშელონს, რომლითაც ლენინგრადელი ბავშვები ზუგრში მიჰყავდათ. მფრინავი სწრაფად და გაბედულად ეკვეთა მტერს და მატარებელი გადაარჩინა. აი, სულ ორი სახელი, ორი ეპიზოდი იმისა, თუ როგორ ვლინდებოდა საბჭოთა ადამიანების სულიერი ძალა და სიდიადე, ამხანაგობისა და ერთმანეთისათვის თავდადების გრძნობა უძნელესი განსაცდელის ჟამს...

ნამდვილ მეგობრებს ჰირიც საერთო აქვთ და ლენინიც. ქართველი ხალხის დღესასწაულის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმისათვის ჩვენთან ერთად ყველა მოძმე საბჭოთა ხალხი ემზადება. დასახულია და ხორციელდება ბევრი საიუბილეო ღონისძიება. მოსკოვში (მეცნიერთა სახლის ბაზაზე) და ლენინგრადში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის — პუშკინის სახლის ბაზაზე) ეწყობა მუდმივმოქმედი ლექტორიუმების მეცადინეობანი, რომელთა მიზანია ქართველი და რუსი ხალხების ურღვევი მეგობრობის ფართო პროპაგანდა. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს: ისეთივე ლექტორიუმი შეიქმნა ქალაქ გეორგიევსკშიც. მეცადინეობათა დროს გამოდიან მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილი მოღვაწეები, რევოლუციის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, უწვევენენ სამეცნიერო-პოპულარულ, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, იმართება ცალკეული მხატვრული კოლექტივების კონცერტები და ა. შ. ლექტორიუმების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი და რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“.

ამავე მუზეუმმა პუშკინის სახლთან ერთად შარშან ლენინგრადში მოაწყო სამეცნიერო სესია, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური ხასიათის პრობლემას მიეძღვნა. კიდევ ერთი გაერთიანებული სამეცნიერო სესია მოეწყობა წელს.

ტრიუმფით ჩაიარა საქართველოს მეგობარ კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრებმა მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, სტავროპოლსა და სხვა ქალაქებში. ამ დღეებში საქართველოს ეწვევიან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები. ეს იქნება რუსი და ქართველი ხალხების, საბჭოთა საქართველოს და მომძე რესპუბლიკების მრავალფეროვანი უმდიდრესი კავშირურთიერთობის დათვალიერება, და, მაშასადამე, კიდევ ერთ აგურს ჩაადუღაბებს ჩვენი ურღვევი მეგობრობის საძირკველში.

ცალკეულ თაობათა და ცალკეულ ადამიანთა ხსოვნა სათუთად ინახავს ყოველივე კეთილსა და ჭეშმარიტს, რაც პროგრესს და აღმშენებლობას ემსახურება. და საკუთარი საქმისადმი, საკუთარი მიწა-წყლისადმი, მშობლიური სოფლისა თუ ქალაქისადმი სიყვარულთან ერთად მომავალ თაობებს უნდა ვუანდერძოთ ინტერნაციონალიზმის ნათელი, გამაკეთილშობილებელი გრძნობები, სხვა ხალხებისადმი პატივისცემა, მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრების წყურვილი და სურვილი. რამეთუ ჩვენთვის არ არსებობს უფრო ამაღლებული ცნებები, ვიდრე სამშობლო, მეგობრობა და მშვიდობა.

თ. ამბარაცუმი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

გამარჯვებული

საქართველო და ნევისპირა ქალაქი



მეგობრობის გზით

თანამედროვეთა ყურადღებას მიიპყრო გრიგოლ ორბელიანის თხზულებამ, „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურგამდის“, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა. თავისუფალი აზროვნების სულისკვეთებით და მოწინავე რუსეთისადმი უდიდესი სიყვარულით გამსჭვალული ეს წიგნი იმდროინდელი ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილის განწყობილებას გამოხატავს.

საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის განვითარება ძველთაგანვე ზრდიდა ინტერესს ამ მხარისადმი, რომელიც ტერორიით მცირეა, მაგრამ ესოდენ მრავალფეროვანი ბუნებრივი გეოგრაფიული პირობებით.

კერძოდ, XVIII საუკუნის დამლევიდან აქ ჩამოდიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ექსპედიციები. რაც შეეხება საქართველოს გეოლოგიის სისტემატურ შესწავლას, მას საფუძველი ჩაუყარა ამ აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ვ. ადიმბა, რომელსაც „კავკასიის გეოლოგიის მამას“ უწოდებენ.

გეოლოგია დიდად განვითარდა ქართულ მეცნიერებში, რომელიც ყოველმხრივ აყვავდა უკვე საბჭოთა პერიოდში. ქართულ გეოლოგიურ სკოლას სათავეში ჰაუდგენენ აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის მოწაფე აკადემიკოსი ა. ა. თვალჭრელიძე (მინერალოგია და პეტროგრაფია), აკადემიკოსების ვ. ა. ობრუჩევისა და მ. მ. უსოვის მოწაფე პროფესორი კ. ე. გაბუნია (გამოყენებითი გეოლოგია), აკადემიკოსი ა. ი. ჯანელიძე (სტრატიგრაფია და ტექტონიკა). მეცნიერული აზრისა და ძი



ზნეობრივი გმირობის მაგალითი

„ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო“

ანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ექვთიმე იწვოდა სამშობლოსათვის, ვითარცა წინდა სანთელი, მასაც ისე, როგორც დმიტრი ყიფიანს, წილად ხვდა სამშობლოდან იძულებით წასვლა. 1921 წელს იგი მცველად გაჰყვა ეროვნულ განძეულს, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტაცა. 25 წელი გრძელდებოდა ექვთიმეს ოდისევსისებური გმირული ბრძოლა ქართული განძეულის მტრების — სქელასა და ქარიბდას წინააღმდეგ. და მან შეძლო ეს განძეული გადაერჩინა, საშობლოშივე დაებრუნებინა. ხომ უდიდესია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისა, მაგრამ ეს ღვაწლი მაინც მეორეულია მის ზნეობრივ გმირობასთან შედარებით და დღეს თუ მთელი საქართველო სათუთად ახსენებს ექვთიმე თაყაიშვილის სახელს, პირველ ყოვლისა იგი უმადლის დიდ რაინდს აწ განძეულის გადარჩენის გამო და აღიარებული ჰყავს ზნეობრივი გმირობის ეტალონად. ახლა ექვთიმეს სამშობლოში ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმი — ექვთიმობა, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობს. ამ ზეიმს საქართველოდან აქვს შერქმეული „ზნეობრივი გმირობის მაგალითი“. ექვთიმე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა მარტო ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაც“.

• • •

ექვთიმე თაყაიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული 1887 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ეს იყო პოლიტიკური რეაქციის ძმის ხანა, როცა ალექსანდრე მესამის თვითმპყრობელური რეჟიმი განსაკუთრებული სისასტიკით სდევნიდა მონარქიზმის დამანგრეველ ძალებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ცარიზმის რეპრესიების მიუხედავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში აღმავლობას განიცდიდა. ამ მოძრაობის სათავეში კვლავ იდგა ილია ჭავჭავაძე — აღიარებული მედროშე ერის დემოკრატული ძალებისა. ყველაზე მოქმედი, ეფექტიანი. მიზანსწრაფული ეროვნული დაწესებულება ამ დროს იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა ი. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანის, გრ. ორბელიანის, ი. ბოგდანოვის, ი. მაჩაბლის, ნ. ცხვედაძის და სხვათა თაოსნობით. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ძველი ხელნაწერების შეგროვებას მოთავეობდა და უკვე სოლიდური ფონდი შეექმნა, სჭირდებოდა სპეციალისტი, რომელიც ამ ეროვნულ საგანძურს წესრიგში მოიყვანდა და გამომზეურებდა. ასეთად საზოგადოებას მოევლინა ექვთიმე თაყაიშვილი, და შემთხვევითი არ იყო, რომ 1888 წელს იგი ამ საზოგადოების გამგეობის წევრად აირჩიეს. ექვთიმემ ტიტანური მუშაობა გასწია საზოგადოების ფონდში დაგროვილ ხელნაწერთა მოწესრიგების, აღწერისა და გამოქვეყნებისათვის. პარალელურად იგი ზრუნავდა ოჯახებში გაბნეული და დაღუპვისთვის განწირული ხელნაწერების შესაგროვებლად. ასე მიაგნო მან იტრიაში „პარხლის სახარებას“. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენა. 1880 წელს გამოქვეყნდა ექვთიმეს ბრწყინვალე გამოკვლევა „სამი ისტორიული ხრონიკა“, რომელიც სამანის დამდებია მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ქართული მეცნიერული საზოგადოებრივობა აღფრთოვანა ამ ნაშრომმა, ეს წლად ხვდა საერთო აღიარება და ექვთიმეს დაუწკვდრა მაღალნიჭიერი სპეციალისტის ავტორიტეტი.

1890-1900-იან წლებში ექვთიმემ კოლოსალური შუშაობა გასწია საქართველოს ისტორიის წყაროების ინტერპრეტაციისა და გამოქვეყნებისათვის. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის და „საქართველოს სიძველენის“ ტომები დღესაც სამაგიდო წიგნია საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ამასთან იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალებში ბეჭდავდა საყურადღებო გამოკვლევებს, რამაც ნ. მართან ერთად მას მეცნიერული კავკასიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი დაუმკვიდრა. ამასთან ექვთიმე დაუცხრომელი პრაქტიკოსი საზოგადო მოღვაწე იყო და მუდამ მხარში ედგა დიდ ილიას. იგი აქტიურად მონაწილეობდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებაში. ი. ჭავჭავაძესთან და ნ. ცხვედაძესთან ერთად მოთავეობდა ქართული გიმნაზიის — შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დიდებული შენობის საფუძვლის ჩაყრას და მშენებლობას. ეს კოჯლი კაცი შეუსვენებლად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — მთასა და ბარში, ადიოდა ქარაფებზე, სწავლობდა ძველი ქართული ეკლესია-მონასტრების განძეულობას, მათს არქიტექტურას, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს მცხეთასა და ვანის ნაქალაქარში, ხუცუბანში, სკრის ხეობასა და თრიალეთში. იგი მთელი არსებით თანაუგრძნობდა რუსეთის პირველ რევოლუციასა ში ამხედრებული საქართველოს მშრომელი მასების შემართებას და დიდ ილიასთან ერთად ძალღონეს არ ზოგავდა ცარიზმის დამსჯელი ექსპედიციის რისხვისაგან მშობლიური გურიის გადასარჩენად.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა: სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. ექვთიმე თაყაიშვილმა ფუძემდებლური მუშაობა გასწია სამივე სვეტის საშენი მასალის სკრუპულოზური ანალიზისათვის. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ექვთიმემ თავის წყაროთმცოდნეობის საქმიანობაში პირველად „ქართლის ცხოვრებას“ მოჰკიდა ხელი. ამას უკარნახებდა არა მარტო მეცნიერული, არამედ იმ დროის საზოგადოებრივი ინტერესები. 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის ვითარებაში კატკოვისებური შოვინისტები დიდად აქტიურობდნენ და არაერთხელ სცადეს კიდეც წაპპოტინებოდნენ „ქართლის ცხოვრებას“, როგორც მისი სიძველე ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ და ამით გაებიაბრუებინათ ქართველი ხალხის როლი და ადგილი აღრინდელ ცივილიზაციაში. ამ ვითარებამ, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად კალამი ხელში ააღებინა ილია ჭავჭავაძესაც — პროფესიით არა ისტორიკოსს. ეს იყო მისი „ქვათა ღაღადი“, რომელიც საგანგებოდ იყო მიმართული საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ — ძველი საქართველოს ამ უდიდესი და უმშვენიერესი ძეგლის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა საშური საქმე იყო. პირველი ცდა ამ მიმართულებით იყო „სამი ისტორიული ხრონიკა“, სადაც მკვლევარმა უკვე მოგვცა „ქართლის ცხოვრების“ დამაჯერებელი ქრონოლოგიური კვალიფიკაცია. ექვთიმე შემდეგაც, წლების ნაძიღლზე შუშაობდა ქართლის ცხოვრების ტექსტებზე, მისი ვარიანტების ქრონოლოგიაზე.

უდიდესი ჯაფა გადახდა ექვთიმეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ძიებისა და გადარჩენისათვის. რევოლუციამდელ საქართველოში მომრავლებული იყვნენ ვაჭარ-სპეკულანტები, რომლებიც ძველ ხელნაწერებს თუ მხატვრულ ნივთებს უცხოელებზე ჰყიდიდნენ. „ვეფხისტყაოსანს“ ყველაზე ცნობილი ხელნაწერი, მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი, ექვთიმემ დიდი წვალებით შეიძინა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს ჩაბარა. მანვე საზღვარგარეთ გაყიდვისაგან გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა „ვეფხისტყაოსნის“ ბეგთაბეგოვისეული ხელნაწერი 1630 წლისა და XVIII საუკუნის ხელნაწერი, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გაეტანა ფრანგ ბარონ დებაილ. მანვე გადაარჩინა ამ ხელნაწერის ძვირფასი სურათებიც, რომლებიც ადრე ყოფილა ამოჭრილი ხელნაწერიდან და პარიზის ბაზარზე იყიდებოდა. პარიზში მან მიაგნო ახალ ხელნაწერს და აღწერა იგი. „ვეფხისტყაოსანს“ ექვთიმემ აღწერილობის საგანგებო ტომი მიუძღვნა.

საქართველოს ისტორიისათვის ფასდაუდებელი შენამატი იყო „ხელწერფის კარის გარიგების“ აღმოჩენა და საზღვარი არ ჰქონდა გულდინჯი მეცნიერის სიხარულს, როცა ეს უნიკალური ძეგლი შემთხვევით იპოვა გადასაყოლად განკუთვნილ ნაგავში და შემდეგ სათანადო გამოკვლევების დარღვით გამოსცა ქართულ და რუსულ ენებზე. საქართველოს ისტორიის წყაროები მეცნიერს ფაროდად ჰქონდა გაჯრებული. ეს იყო, პირველ ყოვლისა, საისტორიო მწერლობა, სიტყვაკაზმული მწერლობა, ქრონიკები, კვინქსლოები, სამართლის ძეგლები, სიგელ-გუჯრები, მოსახლეობის აღწერის დავთრები, ეპიგრაფიკა, ტოპონიმიკა, ონომასტიკონი. ექვთიმე ასევე პირველხარისხოვან როლს ანიჭებდა ნივთიერი კულტურის ძეგლებს, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალას, ხალხური სიტყვიერებას. მშობლიური ისტორიის წყაროების ამ მრავალმხრივობა ძიებამ განსაზღვრა ექვთიმეს ფართო ქართველოლოგიური პროფილი. იგი ერთდროულად იყო არა მარტო საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების მაძიებელი — მკვლევარი და ქართული ეპიგრაფიკის მესაიდუმლე, არამედ პირველი არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი, ისტორიული გეოგრაფიის მოამაგე, — ერთი სიტყვით, ცოცხალი ენციკლოპედია.. ამასთან წარსულის ხიოვის მისნურ საიდუმლოთა ფლობდა.

უდიდესია ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება როგორც „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებლისა და მუშვეურისა. რეაქციის წლებში ამ საზოგადოების შექმნის ნებართვა ექვთიმემ დიდი ბრძოლის შედეგად გამოსძალა ცარიზმს 1907 წელს. საზოგადოებამ თავი მოუყარა ქართული კულტურის საუკეთესო ძალებს და ჩაადა ინტენსიურ მეცნიერულ საქმიანობაში. საზოგადოება დაარსებიდანვე იქცა მეცნიერული ქართველოლოგიის ცენტრად. საისტორიო საზოგადოების მაშინდელი როლი მართებულად შეაფასა მისმა ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა კორნელი კეკელიძემ. „ეს იყო მაშინ ჩვენი უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც“.

ასევე დიდია ექვთიმეს წვლილი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი პირველი ამოუდგა მხარში უნივერსიტეტის დაარსების თაოსანს — დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს ივანე ჯავახიშვილს. იყო თავმჯდომარე პირველი დამფუძნებელი კრებისა, რომელიც 1917 წლის 12 ივნისს გაიმართა თბილისში, პირველი საორგანიზაციო კომისიის წევრი, პროფესორთა საბჭოს პირველი შემადგენლობის წევრი და პირველი არქეოლოგი დოქტორი, რომელიც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ასწავლიდა ქართული არქეოლოგიის კურსს. მის მხრებზე გადაიარა საქართველოში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის შექმნა-საქმიანობის მთელმა სიმძიმემ. ამ ინსტიტუტის პირველი თაოსანი იყო გამოჩენილი მეცნიერი ნიკო მარი — ექვთიმეს ბავშვობის მეგობარი და საამაყო კოლეგა კავკასიოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში.

1921 წლის მარტიდან 25 წლით შეწყდა ექვთიმე თაყაიშვილის ნაყოფიერი საქმიანობა მშობლიურ საქართველოში. იგი იძულებული გახდა პარიზში მცველად გაჰყოლოდა ეროვნულ განძეულს, რომელიც ემიგრაციაში გახიზნულმა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ გაიტაცა. დიდი სულიერი ტრაგედია იყო მშობლიური უნივერსიტეტის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ნათესავებისა და მეგობრების მიტოვება და უცხოეთში გადახვეწა, მაგრამ მამულიშვილსა და მეცნიერს არ ჰქონდა სხვა არჩევანი. მისივე რუდუნებით დაგროვილი ეროვნული საუნჯე დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა და მისი მოვალეობა იყო დაეთმო სხვა ყოველივე ამ საუნჯის გადასარჩენად.

უცხოობაში გატარებული მეოთხედი საუკუნე ნამდვილი ოდისეა ექვთიმეს ცხოვრებისა, რა ბრძოლა არ გადაიტანა მან ამ საუნჯის გადასარჩენად! განძეულს ხელს უპოტინებდნენ ამერიკისა და ევროპის უმდიდრესი კოლექციონერები, ბრიტანეთის მუზეუმი, გრაფ ობოლენსკის ქვრივი (სამგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ქალიშვილი). განძეულის ერთადერთი პატრონი ექვთიმე დარჩა, რადგან საფრანგეთის მთავრობამ მენშევიკური „მთავრობა“ გაუქმებულად გამოაცხადა და მოსპო მისი ლეგიტიმა. საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა პარიზს ფაშისტური გერმანია დაეპატრონა. ექვთიმემ შეძლო საუნჯის გადარჩენა, იგი გადაფფორებული იყო ამ განძეულზე და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ყველს, ვინც ლამობდა მის მითვისებას. უარს ამბობდა ცალკეული კოლექციის გამოფენაზეც კი, რასაც შეეძლო მისთვის მილიონები მოეტანა. მშიერმწყურვალი თავუფლებლივ მუშაობდა, სწავლობდა ევროპის მუზეუმებში დაცულ საქართველოს ისტორიის წყაროებს, ამდიდრებდა კოლექციას ახალი ნივთებით, ამასთან ცხოვრეთ ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ უნივერსიტეტთან, ქართულ სამეცნიერო წრეებთან და აქეზებდა მათ ეზრუნათ განძეულის დაბრუნებისათვის.

სანატრელი დღე მეცნიერსა და მამულიშვილს დაუდგა 1945 წელს, ფაშისტური გერმანიის განადგურების წელს. საფრანგეთის საბჭოთა საელჩოს ხელშეწყობით განძეულის დაბრუნების საქმე დეგოლამდე მივიდა, რომელმაც განძეულის საბჭოთა საქართველოში დაბრუნების ნებართვა საბჭოთა ქვეყანასთან კეთილი ურთიერთობის განმტკიცების კეთილშობილური აქციად გამოიყენა, საბჭოთა ქვეყნის მეთაურის ი. ბ. სტალინის მითითებით განძეულის დასაბრუნებლად პარიზს მივლინებულ იქნა ქართველ მეცნიერთა დელეგაცია.

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე ხელუხლებელი ეროვნული განძეულით თბილისში დაბრუნდა. ჯანგატეხილ მოხუცს სამშობლომ მთაბერა ახალი ენერგია.

პირველად იგი მშობლიურ უნივერსიტეტს ეწვია. მე ბედნიერება მქონდა, დავსწრებოდი ამ საზეიმო კრებას. დიდმა ექვთიმემ, რომელსაც ტრიბუნაზე შემოყვანენ მაშინდელი რექტორი ნიკო კეკელიძე, უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და გიორგი ახლედიანი, თავისი სიტყვა დაიწყო აკაკის ცნობილი ლექსით. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო!... დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“.

ვის არ უგრძნია აკაკის ეს ჯადოსნური ლექსის ძალა, მაგრამ სულ სხვა, და ენით გამოუთქმელი იყო შთაბეჭდილება, როცა ამ სტრიქონებს ექვთიმე ღაღადებდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ექვთიმემ 8 წელი იცოცხლა და ღრმა მოხუცი 90 წლისა აღესრულა. ეს 8 წელიც საკმარისია ერთი კაცის უკვდავებისათვის. იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიის უნიშვნელოვანეს საკითხებზე, აქვეყნებდა ვრცელ სტატიებს უცხოეთში, მოპოვებულ ახალ წყაროთა შესახებ. 1949 წელს ხელახლა, ვრცელი შესავლით გამოსცა „სუმბათ დავითის ძის ქრონიკა“, ახალგაზრდა ისტორიკოსებს უწევდა კონსულტაციას, უკარნახებდა მოგონებებს, რომელიც ძვირფასი მატიანეა ქართული საისტორიო ცხოვრებისა. ერთი დღეც არ დაუსვენია.

• • •

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს დიდად აფასებს საბჭოთა საქართველო. ექვთიმე დიდებულ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს. დიდი ზეიმით აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი. გამოცემულია მისი შრომები, მოგონებანი და გამოკვლევები მის მეცნიერულ მოღვაწეობასა და გმირულ ცხოვრებაზე. ექვთიმეს მშობლიურ სოფელ ლიხაურში აღმართულია დიდი მონუმენტი ამ მოაზროვნე და რაინდი კაცისა. ყოველწლიურად ეწყობა ექვთიმობის დიდი ზეიმი, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობს. არსებობს ხალხური სკოლა და მუზეუმი. კვლავ ბევრი გაკეთდება დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

აკაკი სურგულაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

23 სექტემბერი

ეროვნული ენციკლოპედია

თავიდან ავიცილოთ გირთვული საფრთხე!

გამოსამაურება

ი. ვ. ანდროპოვის პასუხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა ჯგუფისადმი საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უურადღების ცენტრში ი. ა. სხვადასხვა ქვეყნის პრესის ორგანოები ფართოდ აქვეყნებენ და განმარტავენ ამ დოკუმენტს, ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა მშვიდობის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისადმი სწრაფვა. აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ფართოდ ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფოსთან, რათა მიაღწიოს მოვლენათა საშიში განვითარების გარდატეხას, თავიდან აიცილოს კაცობრობის ბირთვული საფრთხე.

„კაცობრიობის მომავლის საკვანძო საკითხი“, „საეჭოოა ყველაზე აქტიური და გადამჭრელი მოქმედება ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ ი. ვ. ანდროპოვის პასუხს ბულგარული გაზეთები. კომეტარში, რომელსაც სათაურად წამძღვარებული აქვს „კეთილი ნების მოწოდება“, გაზეთი **„ზემედელსკო ზნამე“** ხაზს უსვამს, რომ ი. ვ. ანდროპოვის პასუხი საბჭოთა კავშირის წრფელი მშვიდობისმოყვარეობისა და კეთილი ნების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ამ დოკუმენტის ყოველი სიტყვა გამსჭვალულია უდიდესი მზრუნველობით ბირთვული განადგურების საფრთხის თავიდან აცილებისათვის. საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს, რომ ესწრაფვის განიარაღებას, ყველა ხალხთა უშიშროების გამტკიცებას. მოსკოვს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არის დრო და შესაძლებლობა არ დაუშვათ გამალებული შეიარაღებისა და დაძაბულობის გამწვავების ახალი ეტაპი, რომელიც შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ ევროპაში განალგებენ ახალ ამერიკულ რაკეტებს. მაგრამ ეს დრო შეზღუდულია.

„ი. ვ. ანდროპოვმა ბუნდესტაგის დეპუტატთა ჯგუფისადმი წერილში განაცხადა, რომ იზიარებს მათს მიმართვაში გამოთქმულ შეშფოთებას გამალებული შეიარაღების გაძლიერების გამო და მხარს უჭერს პარლამენტართა მოწოდებას შეწყდეს ყოველგვარი ბირთვული შეიარაღება, — ხაზს უსვამს დასავლეთ გერმანიის **„რაინიშე პოსტი“**. —კვლავინდებურად ძალაში რჩება საბჭოთა წინადადება, რომლის მიზანია გათავისუფლოს ევროპა როგორც საშუალო სიმორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან“.

„სსრ კავშირის აზრით, — აღნიშნავს **„ფტუტგარტერ ცაიტუნგი“**, —ამჟამად მიმდინარე მოვლენები უშუალოდ ეწინააღმდეგება ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს. და ეს იმათი ბრალია, ვინც ყოველნაირად ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობის დესტაბილიზაციას, სოციალიზმის ქვეყნებზე და ამასთანავე ყველა სხვა ქვეყანაზე სამხედრო უპირატესობის მიღწევას“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელმაც პასუხი გასცა დასავლეთგერმანელ პარლამენტართა მოწოდებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ბირთვული არსენალების გაყინვის თაობაზე, კვლავ შეახსენა მათ საბჭოთა კავშირის წინადადებები განიარაღების შესახებ, და ხაზი გაუსვა, რომ „საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კაცობრობას თავიდან აიცილოს ბირთვული კატასტროფა. ი. ვ. ანდროპოვს არ დაუსახელებია კონკრეტულად შეერთებული შტატები, მაგრამ გამალებული შეიარაღებისა და განიარაღების მოლაპარაკების ჩიხში მოქცევის გამო ბრალი დასდო იმათ, ვინც ესწრაფვის საერთაშორისო ურთიერთობის დესტაბილიზაციას, სამხედრო უპირატესობის მიღწევას სოციალიზმის ქვეყნებთან და მათთან ერთად ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით“. ამერიკის **ახალშეერთებულ პრესის** საინფორმაციო სააგენტო იუწყება: ი. ვ. ანდროპოვმა დასავლეთგერმანელ პარლამენტარებს მოუწოდა არ დაუშვან დასავლეთ ევროპაში ამერიკული საშუალო სიმორის ბირთვული რაკეტების განლაგება და ხელი შეუწყონ ბირთვული ომის თავიდან აცილებას, რომელიც ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნებოდა კაცობრობისათვის.

ი. ვ. ანდროპოვმა ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხები ვერ დარჩებიან გულგრილ მოწმეებად, როდესაც ზოგზოგები ცდილობენ ევროპის ინტერესების საზიანოდ ხაზი გადაუსვან ყოველივე იმ დადებითს, რაც აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებს გაერთიანებული გარჯით შექმნილა, აღნიშნავს საფრანგეთის **ფრანს პრესის** საინფორმაციო სააგენტო.

● **აშშ**

უპრეცედენტო ცინიზმი

აღშფოთებას გამოთქვამენ უპასუხისგებლო განცხადების გამო

ვაშინგტონი. როგორც მოელ მსოფლიოში, ისე თვით შეერთებულ შტატებში დიდი პროტესტები გამოიწვია უხეშობითა და ცინიზმით უპრეცედენტო თავდასხმამ, რომელებითაც ერთა გაერთიანების თავს დაესხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ჩ. ლიჩენსტაინი, რომელმაც ფაქტობრივად განუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წაეთრიოს ამერიკის ტერიტორიიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელნი პალატის წევრთა ჯგუფმა ლიჩენსტაინის გადადგომა მოითხოვა. განცხადებაში, რომელსაც უკვე 11 კონგრესმენმა მოაწერა ხელი, გამოთქმულია აღშფოთება ამ უპასუხისმგებელი განცხადების გამო. „ფფიქრობთ, რომ ლიჩენსტაინის განცხადება ასახავს მის აშკარად მტრულ განწყობილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და მოქმედებისადმი და მოწმობს, რომ იგი არ გამოდგება იმისათვის, რომ წარმომადგენლობდეს ჩვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციაში. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ გადადგომას“ — ნათქვამია დოკუმენტში.

კონგრესმენებმა აგრეთვე მოსთხოვეს სახელმწიფო მდივანს შულცს, რომ მოახდინოს ლიჩენსტაინის განცხადების დეზავუირება და მთლიანად განმარტოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ. „ჩვენ კი არ უნდა უარვყოთ. ჩვენი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ, არამედ დავადასტუროთ ისინი, ამასთან გავითვალისწინოთ ამ ორგანიზაციის წევრობის უნივერსალობა და მისი როგორც შუამავლის როლი სახელმწიფოთა კონფლიქტებისა და დავის გადაჭრისას“, — აღნიშნეს მათ.

● **ჩადი**

გ. უედეის მოწოდება

პარიზი. ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარემ გუკუნი უედემ მოითხოვა დაიწყონ მოლაპარაკება ქვეყანაში შექმნილი ვითარების მოსაწესრიგებლად. საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან დაგმო საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის როლი ჩადში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მოქმედება ნჯამენის რეჟიმის მხარდასაჭერად „ხელს უშლის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის“.

როგორც ცნობილია, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც აფრიკაში თავიანთი სტრატეგიული ინტერესები აქვთ, ცდილობენ ჩადის კონფლიქტის ინტერნაციონალიზებას, ყოველნაირად შეუშალონ ხელი ამ ხალხს თვითონ განაგებდეს თავის ბედ-იღბალს.

მაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

სენტ-ქრისტოფერი და ნევისი —158-ე წევრი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ რეკომენდაცია მისცა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში სენტ-ქრისტოფერი და ნევისის მიღებას. ამრიგად, ბრიტანეთის ეს ყოფილი კოლონია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 158-ე წევრი ქვეყანა იქნება.

სენტ-ქრისტოფერი და ნევისი კარიბის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულების ჯგუფია, რომელიც მცირე ანტილიის კუნძულების არქიპელაგში შედის. ამ ქვეყანაში 45 ათასამდე კაცი ცხოვრობს.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 88-ე სესიაზე გრძელდება ორგანიზაციული საკითხების განხილვა. ასამბლეის გენერალურმა კომიტეტმა მონაწილეებს რეკომენდაცია მისცა შეიტანონ სესიის დღის წესრიგში 141 პუნქტი, რაც შესაძლებელს გახდის ფორუმზე განიხილონ თანამედროვეობის პრაქტიკულად ყველა უმნიშვნელოვანესი და მწვავე პრობლემა.

რეკომენდებული დღის წესრიგი მონაწილეებს შესაძლებლობას ანიჭებს ასამბლეაზე მიმდინარე დისკუსია მოახმარონ უწინარეს ყოვლისა გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პრობლემებს. საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად პირველად არის შეტანილი საკითხი „კოსმოსური სივრცეში და დედამიწის მიმართ კოსმოსიდან ძალის გამოყენების აკრძალვის ხელშეკრულების დადების შესახებ“. წამოაყენა რა ასამბლეის განსახილველად ახალი საკითხი, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს მისწრაფებით არ დაუშვას კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია.

დღის წესრიგში შეტანილია სხვა საკითხებიც, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიხილავენ. ისინი ნაკარნახევია ერთი მიზნით — მივაღწიოთ გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი ომის საფრთხის შესამცირებლად და საერთაშორისო დაძაბულობის დასაცხრობად. ეს არის, კერძოდ, წინადადებანი ბირთვული იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და აკრძალვის შესახებ, ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღისა და ასეთ სახეობათა იარაღის ახალი სისტემების შემუშავება-წარმოების აკრძალვის შესახებ, ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ.

სოციალისტური და მიუმხრობელი ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობის დღის წესრიგისადმი თავიანთ მიდგომაში ხელმძღვანელობენ მისწრაფებით გამოიყენონ მომავალი დისკუსია საერთაშორისო კლიმატის გასაუმჯობესებლად, ომის თავიდან აცილების ეფექტიანი გზების მისაგნებად. სულ სხვაგვარ მიზნებს ისახავენ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი უახლოესი პარტნიორები, რომლებიც უარს არ იტყოდნენ იმაზე, რომ წარმართათ სესიის მუშაობა კონფრონტაციის კალაპოტით, ჩამოემორგებინათ მისი ყურადღება ჭეშმარიტად საარსებო მნიშვნელობის საერთაშორისო პრობლემებისაგან. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას აღინიშნულ სახელმწიფოთა ჯგუფი მისწრაფება თავს მოახვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისეთი თითიდან გამოწოვილი „საკითხები“, როგორიც არის ავღანეთის და კამპუჩიის საკითხები.

მაგრამ ეს პროვოკაციული „საკითხები“ სულაც არ განსაზღვრავს სესიის დისკუსიების ხასიათს. მთლიანად დღის წესრიგში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მსოფლიო მეტ წილ სახელმწიფოთა მისწრაფებამ იღვაწონ საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესებისათვის, თავიდან აცილონ ხალხებს ომის საფრთხე.

ვ. ბანი.

ფოტოფაქტი

● **ჩილე**

პროტესტის ტალღა

ჩილეში გაიმართა კიდევ ერთი „ეროვნული პროტესტის დღე“. მარტო ის ფაქტი, რომ ამგვარი მასობრივი გამოსვლა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ მომდინარე წელს სათვალავთან-ერთეა, მოწმობს ამ მრავალტანჯულ ქვეყანაში ვითარების ძირფესვიანად შეცვლას.

სანტიაგოს და სხვა ქალაქების ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში, რათა მოეთხოვათ პინოჩეტის დაუყოვნებლივი გადადგომა და რეპრესიების შეწყვეტა. საპროტესტო მანიფესტაციის დასარბევად პოლიციამ მასობრივ დაპატიმრებებს მიმართა.

სურათზე: ჩილელ მეზობლეთა გამოსვლა.

აპ-საკადესი ფოტო.

● **ავღანეთი**

ბახთარის სააგენტოს ცნობა

**ქაბული.

პირველი ორთაბრძოლები

ᲙᲘᲔᲕᲘ. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ყველგან, სადაც კი გიხილიდათ, შეამჩნევთ, რომ უკრაინის დედაქალაქი აქ მომდინარე მოჭიდაებათა მსოფლიო ჩემპიონატით ცხოვრობს. ამ დიდი შეჯიბრებისათვის კიელელები დიდხანს ემზადებოდნენ, საუცხოოდაც გაართვეს თავი თითოეულ წვრილმანსა თუ დიდ პრობლემას, და აი, თავდაპირველად კლასიკური სტილის მოჭიდავენი ჩაებნენ ასპარეზობაში. შეჯიბრების პირველ დღეს ხალიჩაზე გამოსულთაგან პირველი გამარჯვება იზეიმა ყველაზე მსუბუქი კატეგორიის მოჭიდავემ (48 კილოგრამამდე წონა), მსოფლიო ჩემპიონმა, საქართველოს წარმომადგენელმა თემურ ყაზარაშვილმა. მან სულ რაღაც 2 წუთსა და 4 წამში ხალიჩას გააკო უნგრელი მეტოქე ჩაბა ვადასი. ეს მართლაც დამაიმედებელი განაცხადი გახლდათ ქართველი ფალავნისა, მაგრამ მეორე წრეში ბულგარელ ათლეტთან — ევროპის ჩემპიონ ბრატან ცენოვთან მისი შეხვედრის შედეგმა ქართველ მოჭიდავეს პირველი ადგილისათვის ბრძოლის გზა გადაუკეტა: ყაზარაშვილმა ცენოვთან მერკინებისას მეტოქეს ზედიზედ ორ-ორი მომგებიანი ქულა აართვა და ყველამ ნაადრევად დავიჯერეთ, რომ იგი ჭიდაობის დასკვნითს ეტაპზეც ესე იგი, მეორე სამწუთიან პერიოდშიც ადრე მოპოვებულ უპირატესობას თუ არ განამტკიცებდა, მის შენარჩუნებას მაინც მოახერხებდა. სამწუხაროდ, პირიქით მოხდა, 19 წლის ბულგარელმა 24 წლის ქართველ მოჭიდავესთან ორთუ დაკარგული ალიდგინა, დაწინაურებაც შეძლო და საბოლოოდ ქულებით გაიმარჯვა. ახლა ყაზარაშვილს ისღა დარჩა, რომ მესამე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვოს.

შეჯიბრების პირველ დღეს გაგვახარა მეორე თეიმურაზმა — აფხაზავამ (82 კილოგრამამდე წონა), რომელმაც ხელიზედ სამი გამარჯვება იზეიმა. მან ჯერ ფინელი იარმო ოვერმარკი დაამარცხა ქულებით, შემდეგ წმინდად მოუგო ირანელ ფერეიდუნ ეხსამპურს (ამ შეხვედრაში აფხაზავამ 1 წუთსა და 47 წამში 12 მომგებიანი ქულა „გამოიმუშავა“) და ბოლოს ძალიან ძლიერ მეტოქესთან დენ ჩანდლერთან (აშშ) ქულებით გაიმარჯვა. სამი წრის შემდეგ აფხაზავა თავის ქვეჯგუფში ერთადერთია, რომელიც წაუგებლად განაგრძობს პირველობისათვის ბრძოლას. მეორე ქვეჯგუფში ასევე დაუმარცხებლად სასპარეზოს რუმინელი იონ დრაიკა, რომელმაც აფხაზავასავით ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა. ეტყობა, სწორედ ეს ორი მოჭიდავე გაიკაფავს გზას ფინალისაკენ, იმ ეტაპისაკენ, სადაც მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა უნდა გაირკვეს.

ამავე დღეს კიდევ სამ წონითს კატეგორიაში გაიმართა ორთაბრძოლები. 57 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის დაწინაურებული ორიან კამილ ფატკულინი (სსრ კავშირი) და მასაკი ეტო (იაპონია), 68 კილოგრამამდე წონაში — ტამაი სიპილა (ფინეთი). ეფი კოპანსკი (პოლონეთი) და გენადი ერმილოვი (სსრ კავშირი). 100 კილოგრამამდე წონაში — ვიქტორ ავდიშევი (სსრ კავშირი), ანდრია დიმიტროვი (ბულგარეთი) და ეფეფ ტარტელი (იუგოსლავია). აღნიშნული მოჭიდავეები დაუმარცხებლად განაგრძობენ ბრძოლას პირველობისათვის.

ჯ. ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ.

უკანასკნელ საათს

ᲒᲣᲨᲘᲜ თემურ აფხაზავამ მეოთხე წრეში იუგოსლავიელ კოროლ კოპაჩი 1 წუთსა და 44 წამში დაამარცხა, მეხუთეში კი ზაგფრიდ ზაიბოლეს (გფრ) 2 წუთსა და 27 წამში 12 მომგებიანი ქულა აართვა და ხელიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, აფხაზავა ფინალში გავიდა და დღეს ამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რუმინელ იონ დრაიკას შეხვდება.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ. გუშინწინ ცსკა—„სპარტაკის“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთორმეტე ტური. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ეს ორმეოცთა მეთერთმეტე, ამდენად, წაგების ტოლფასი ფრე იყო, „სპარტაკმა“ კი „დნეპრთან“ ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში საპირო ქულა დაკარგა. გუშინ გაიმართა დანარჩენი შეხვედრები: კიევის „დინამო“ — „ზენიტი“ — 2:2; „მეტალისტი“ — „ფახთაქორი“ — 1:0; მოსკოვის „ტორპედო“ — მოსკოვის „დინამო“ — 2:1; „ყაზგორისი“ — „ჩერნომორეცი“ — 2:1; მინსკის „დინამო“ —„ნისტრუ“ — 0:0; „არარატი“ —„ნეფთჩი“ — 1:0; **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — 2:2.**

სეტყვაც და თოვლიც

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომელსაც თან მოჰყვა სეტყვა და თქვენ წარმოიდგინეთ, მოთოვა კიდეც.

ცხინვალის რაიონის არცევის მეჩილეობის საბჭოთა მეურნეობაში სეტყვამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა 60 ჰექტარ ბალებს, 20 ჰექტარ ზვრებს, დაზიანდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებიც.

ჯავის რაიონის მთებშიც სტიქიამ მნიშვნელოვანი სიძნელენი შეუქმნა საკვებმწარმოებლებს.

შექმნილია სტიქიურ უბედურებათა შედეგების აღმოფხვრის სპეციალური კომისიები, განსაზღვრება ზარალის ოდენობა.

(საქინფორმი).

გოგუცა კუპრაშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გოგუცა (ნინო) ნიკოლოზის ასული კუპრაშვილი.

გოგუცა კუპრაშვილის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის შექმნასთან, მის მდიდარ შემოქმედებითს ბიოგრაფიასთან და თვალსაჩინო წარმატებებთან. გოგუცა კუპრაშვილი საქართველოში ტრავესტის (ბიჭუნები) ამპლუის პირველი პროფესიონალი მსახიობია. მან პირველმა შეძლო ეჩვენებინა ნორჩი მაყურებლისათვის ბიჭუნას შინაგანი სამყარო მთელი მომხიბვლელობითა და უშუალობით.

1924 წელს გოგუცა კუპრაშვილმა დაამთავრა ქუთაისის მესამე სოციალურ-ჰუმანიტარული სკოლა, 1927 წელს კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული დრამატული ფაკულტეტი. უკვე სტუდენტობის დროს შეამჩნია დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა გოგუცა კუპრაშვილის ნიჭიერება და რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „მზეთამზე“ პასუხსაგები როლი დაკისრა. შემდგომში ამავე თეატრის სცენაზე მან განახორციელა პატარა ბიჭი („ვალეჯელმ ტელი“), გაზეთის გაყიდველი („ამერიკელი ძია“), მომღერალი ბიჭი („ხაჯე მარცხნივ“) და სხვ.

1928 წლიდან გოგუცა კუპრაშვილი ა. თაყაიშვილთან ერთად აქტიურად ჩაება მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დაარსების საპატიო საქმეში. აქედან დაიწყო მსახიობის ცხოვრებაში ახალი ხანა, რასაც თან სდევდა დიდი წარმატებები. იგი 30 წელიწადს იღვწოდა თავისი პატარა მაყურებლის საამებლად თავდაუზოგავად, მთელი მონდომებითა და სიყვარულით. რამდენიმე თაობის მადლიერ მაყურებელს დღესაც კარგად ახსოვს მის მიერ დამპერამენტით, სახის ღრმა ჭვდომით, დახვეწილი პროფესიულობისტატობით განსახიერებული ვახუშტი („ნაცარქექია“), ვანჯი („პარტიზანები“), სოიმკა („მარშალი ბავშვობაში“), მარინე („ზამთრის ზღაპარი“), გოქორი („გოქორი“), კატარინა („ბერეული ცოლის მორჩილება“), ძიძა („რომეო და ჯულიეტა“), ძალძარინი („ალი ბავი სათვალეებით“) და სხვ.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა გოგუცა კუპრაშვილის ღვაწლი ქართული თეატრალური ხელოვნების შეტად სათუთ დარგში — მოზარდთა თეატრის კეთილშობილურ სარბიელზე და 1940 წელს ჯერ საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1955 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

გოგუცა კუპრაშვილის ოპტიმისტური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი. დიდი ჰუმანიზმით გამსჭვალული მგზნებარე ხელოვნება დიდხანს ეხსომებათ თაობებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ; ᲛᲝᲜᲐᲠᲓᲔ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

მოზარდის გულგასახარად

ᲓᲦᲔᲡ, 24 ოქტომბერს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი სპექტაკლით „ირინეს ბედნიერება“ თავის 55-ე სეზონს ხსნის.

დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად არის აღიარებული. მისი დადგმისათვის თეატრის დირექტორს, და მთავარ რეჟისორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. გაწერელიას კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალი სეზონის სარეპერტუარო აფიშაშია ისეთი სპექტაკლები, როგორიც არის: „წეთელქუდა“, „ბიჭუნა და კარლსონი“, „ნაცარქექია“, „ის მაინც ბრუნავს“, „დინოზავრებს გაუმარჯოს“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „დარისპანის გასაჭირი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „რღვევა“.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ვ. იაკაშვილის პიესის „ქართულ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკის“ დადგმაზე, რომელიც საიუბილეო თარიღს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება. სპექტაკლს დგამს შ. გაწერელია. იგი უახლოეს მომავალში დადგამს თ. ჭილაძის „თავფარაგნელ ჭაბუკს“.

ახალ სეზონში თეატრი განახორციელებს ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილს“. დადგმაზე იმუშავებს ნოვოსიბირსკის საბავშვო თეატრის რეჟისორი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ბელოვი. აღნიშნული ნაწარმოები წინათ წარმატებით იდგმებოდა ჩვენთან: ამჯერად ნორჩები ნახავენ ახალ ინსცენირებას, რომელიც ჩვენი თეატრისათვის იქმნება. ლ. ბელოვთან ერთად ამ სპექტაკლის დადგმაზე იმუშავებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რეჟისორი ლ. მარცხულავა. წელს თეატრს შემოეტანა 10 ახალგაზრდა მსახიობი. ჯგუფი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მოამზადა რეჟისორმა შ. გაწერელიამ. ამ ახალგაზრდა მსახიობების მონაწილეობით მომზადდა დადგმები: „შემოსავლიანი ადგილი“ და „დარისპანის გასაჭირი“.

მომდინარე 1983-84 წ. სეზონი უჩვეულოა თეატრისათვის — უკვე მეორედ იგი სეზონს ხსნის არა საკუთარ შენობაში, არამედ რკინიგზელთა სახლში. მიუხედავად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და რკინიგზელთა სახლის დირექციის დახმარებისა, ჩვენს მუშაობას ბევრი სიძნელეობება. მათ შორის უპირველესია ის, რომ შენობა ცუდად თბება, ამის გამო ზამთრის დღეებში კლებულობს დასწრება, შობლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო დროზე დაამთავრებს სარემონტო სამუშაოებს თეატრის ადრინდელ შენობაში და ნორჩი მაყურებელიც ძველებურად მადლიერი გვეყოლება.

Მ. ᲘᲮᲝᲛᲐᲠᲘᲐ,
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

გვთავაზობენ იუნესკოს ჟურნალებს

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ წლიდან რუსულ ენაზე გამოდის იუნესკოს — გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის ხუთი ახალი უოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი: „იმპაქტი“, „ბუნება და რესურსები“, „კულტურები“, „მუზეუმი“ და „პერსპექტივები“.

მრავალფეროვანი და საინტერესოა ჟურნალების თემატიკა.

ჟურნალ **„იმპაქტში“** მკითხველებს დაიინტერესებთ სტატიები, რომლებშიც ასახულია მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერების მოწინავე მიჯნებზე, მისი „ზრდის წერტილები“ ცოდნის ისეთ სფეროებში, როგორიც არის მართვადი თერმობირთვული სინთეზი, კოსმოლოგია, ბიომეტეოროლოგია, სიცოცხლის ფიზიკურ-ქიმიური წარმოშობა, ტვინის ფიზიოლოგია. მთელი რიგი სტატიები ეძღვნება გამოთვლითი ტექნიკის განვითარების საკითხებს და მის როლს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, ენერგეტიკული პოტენციალისა და ბუნებრივი რესურსების, ტრადიციული და სახალხო მედიცინის მიღწევების რაციონალური გამოყენების ამოცანებს.

მრავალპროფილიანობით და პრობლემების ფართო მოცულობით გამოირჩევა ჟურნალი **„კულტურები“**. გამოკვლევები კულტურის თეორიისა და მეთოდოლოგიის დარგში, მსოფლიო კულტურების განვითარება წარსულსა და აწმყოში, კულტურულ ღირებულებათა პოპულარიზაცია და დაცვა, შემოქმედებით მუშაობა ადგილი და როლი, მათი მოვალეობა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, პოლიტიკა კულტურის დარგში, კულტურულ ღირებულებათა ხელმისაწვდომობის გაფართოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი — ასეთია ამ გამოცემის ფურცლებზე გასაშუქებელი საკითხების არასრული ნუსხა.

თანამედროვე განათლების აქტუალური პრობლემები და მისი გაგითარების პერსპექტივებია ჟურნალ **„პერსპექტივების“** ყურადღების ცენტრში. იგი ამოცანად ისახავს გააშუქოს თანამედროვე სკოლისა და პედაგოგიური აზრის მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, სასკოლო პოლიტიკის, განათლების სისტემის ორგანიზაციის, სწავლებისა და აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის, პედაგოგიური კადრების მომზადების ყველაზე არსებითი საკითხები.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მთელ კომპლექსთან, რაციონალურ ბუნებათსარგებლობასა და ბუნების დაცვასთან დაკავშირებულ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს აცნობს მკითხველებს ჟურნალი **„ბუნება და რესურსები“**. მასში გამოქვეყნებული სტატიები ძირითადად თავმოყრილია იუნესკოს სამი საბჭოების-მეტყველო-სამეცნიერო პროგრამის —„ადამიანი და ბიოსფერო“, „საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამა“ და „გეოლოგიური კორელაციის საერთაშორისო პროგრამის“ —გარშემო.

ჟურნალ **„მუზეუმის“** ფურცლებზე იბეჭდება მასალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების საქმიანობის შესახებ, გაშუქებულია სამუზეუმო საქმის განვითარებაში უკანასკნელი მიღწევები, სამუზეუმო ღირებულებათა რესტავრაციისა და კოლექციების დაკომპლექტების პრობლემები.

იუნესკოს ჟურნალები რუსულ ენაზე ვრცელდება საცალო ვაჭრობაში „სოიუზპეჩატის“ კიოსკებში, ხოლო 1984 წლისათვის მათზე ხელმოწერას მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე აფორმებენ „სოიუზპეჩატის“ ორგანოები და კავშირგაბმულობის განყოფილებები.

საბჭოთა გაზეთებისა და ჟურნალების კატალოგში შეგიძლიათ შეიტყოთ ჟურნალების ნამდვილი ინდექსები და ხელმოწერის ღირებულება: „ბუნება და რესურსები“ — 71132 (2 მანეთი და 40 კაპიკი), „მუზეუმი“ — 71133 (4 მან.), „იმპაქტი“ — 71134 (4 მან.); „კულტურები“ „71135 (5 მან. და 20 კაპ), „პერსპექტივები“ — 71136 (4 მან და 80 კაპ.).

(საქინფორმი).

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲓᲒᲚᲔ
Გ. ᲜᲐᲛᲬᲔᲒᲘᲐ.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ჩვენი კრენგოლმი“. „სტავროპოლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „უფინიშო სტარტები“, „კოშკების ქვეყანაში“. 11.00 — „გაგაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა ბგრ-დან). 12.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყარაყუმელი მძღოლები“. 12.15 — „საესტრადო პანორამა“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 17.00 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. 18.15 — „ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში“. 18.45— „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. 1/16 ფინალი. შვეიცარიის „გროსსჰპერსი“-მინსკის „დინამო“. მეორე ტაიმი (გადმოცემა შვეიცარიიდან). 21.15 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. 1/32 ფინალი. საფრანგეთის „ლავალი“ კიევის „დინამო“ მეორე ტაიმი (გადმოცემა საფრანგეთიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — მხატვრული ფილმი — „სიყვარული სანანგრძოდ“. 18.10 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ნახოდა“, „მორშინი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხაბაზები“. 10.40 — კონცერტი. 11.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის რეპორტაჟი“ (მ.). 11.35 — მხატვრული ფილმი „ჩვენიანი“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.55 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 17.25 — „გიწვევთ „იაენანას“ საოჯახო კლუბი“. 17.55 — სასურსათო პროგრამის კურსით „ჩვენი სოფელი“. 18.35 — „მარშუა ნორჩი ლენინელები“. სატელევიზიო პიონერული შეკრება (მ.). 19.20 — ახალგაზრდობისათვის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის „სიყვარული გზად და ხიდად“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.55 — ახალი ამბები („სოფლის სადღეისო საზრუნავი“). 21.00 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. 1/16-დი ფინალი. დინეეკის „შახტიორი“-დანიის „ბ-1901“. მეორე ტაიმი (დონეცკიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში: თბილისის „ბურევესტნიკი-რიგის „ცელტნიეკსი“. რეპორტაჟი თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსიდან. 23.10 — ახალი ამბები. 23.25 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე, 1/32 ფინალი. ფინეთის „პიკი“-მოსკოვის „სპარტაკი“. მეორე ტაიმი (გადმოცემა ფინეთიდან).

მეორე პროგრამა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა“. 17.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.15 — კინოლიტერატურული „მეცნიერება და ტექნიკა“. 18.25 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ჩვენი კრენგოლმი“. „სტავროპოლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „უფინიშო სტარტები“, „კოშკების ქვეყანაში“. 11.00 — „გაგაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა ბგრ-დან). 12.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყარაყუმელი მძღოლები“. 12.15 — „საესტრადო პანორამა“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 17.00 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. 18.15 — „ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში“. 18.45— „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. 1/16 ფინალი. შვეიცარიის „გროსსჰპერსი“-მინსკის „დინამო“. მეორე ტაიმი (გადმოცემა შვეიცარიიდან). 21.15 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. 1/32 ფინალი. საფრანგეთის „ლავალი“ კიევის „დინამო“ მეორე ტაიმი (გადმოცემა საფრანგეთიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში: თბილისის „ბურევესტნიკი-რიგის „ცელტნიეკსი“. რეპორტაჟი თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსიდან. 23.10 — ახალი ამბები. 23.25 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე, 1/32 ფინალი. ფინეთის „პიკი“-მოსკოვის „სპარტაკი“. მეორე ტაიმი (გადმოცემა ფინეთიდან).

მეორე პროგრამა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა“. 17.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.15 — კინოლიტერატურული „მეცნიერება და ტექნიკა“. 18.25 — „მუსიკალური ფოსტა“. 19.15 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის“ — „როცა პარტიული განათლების ქსელში შესვენებაა“. 20.45 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „მშობის სტრიქონები“. 20.50 — ახალი ამბები („სოფლის სადღეისო საზრუნავი“). 20.55 — „სცენა და დარბაზი“. სსრ კავშირის სახალხო არტისტის გიორგი ტოფსტონოგოვის დაბადების 70 წლისთავის გამო. (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ხვალ—ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. თბილისის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (ვიდეოჩანაწერი). 23.20 — ახალი სიმფონიური სეზონი. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „რუსეთი არ დაიგიწყებს“. 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა“. 18.25 — აბიტურიენტთათვის — ქიმია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოსეთის ბუნებრივი ისანეთის ფილმი“. „ოსეთის ბუნებრივ ისანეთ“. 10.00 — „ბავშვთა ტელეკლუბი“. 11.00 — „ბავშვი შეიცნობს სამყაროს“. 18.35 — რეკლამა. 18.40 — კინონარკვევი „აკვალანგი და ლასტები“. 18.50 — „რთველი—83“. 19.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყორანა“. 19.30 — „მოამბე“. 20.00 საქართველოში რსფსრ კულტურის დღეების საზეიმო გახსნა. ტრანსლაცია ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — ახალი ამბები — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“ და „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში: თბილისის „დინამო“-როგის ასკა. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 23.10 — ახალი ამბები („სოფლის სადღეისო საზრუნავი“ და კინონარკვევი). 21.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „სიტყვას ითხოვს „კომუნისტი“. 21.55 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ხრკალი ანდრონიკაშვილი, „ზეპირი მოთხრობები“. დაბადების 75 წლისთავის გამო (მ.). 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — მხატვრული ფილმი — „სიყვარული სანანგრძოდ“. 18.10 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ნახოდა“, „მორშინი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხაბაზები“. 10.40 — კონცერტი. 11.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის რეპორტაჟი“ (მ.). 11.35 — მხატვრული ფილმი „ჩვენიანი“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.55 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 17.25 — „გიწვევთ „იაენანას“ საოჯახო კლუბი“. 17.55 — სასურსათო პროგრამის კურსით „ჩვენი სოფელი“. 18.35 — „მარშუა ნორჩი ლენინელები“. სატელევიზიო პიონერული შეკრება (მ.). 19.20 — ახალგაზრდობისათვის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის „სიყვარული გზად და ხიდად“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.55 — ახალი ამბები („სოფლის სადღეისო საზრუნავი“). 21.00 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. 1/16-დი ფინალი. დინეეკის „შახტიორი“-დანიის „ბ-1901“. მეორე ტაიმი (დონეცკიდან). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში: თბილისის „ბურევესტნიკი-რიგის „ცელტნიეკსი“. რეპორტაჟი თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსიდან. 23.10 — ახალი ამბები. 23.25 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე, 1/32 ფინალი. ფინეთის „პიკი“-მოსკოვის „სპარტაკი“. მეორე ტაიმი (გადმოცემა ფინეთიდან).

მეორე პროგრამა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა“. 17.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.15 — კინოლიტერატურული „მეცნიერება და ტექნიკა“. 18.25 — „მუსიკალური ფოსტა“. 19.15 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის“ — „როცა პარტიული განათლების ქსელში შესვენებაა“. 20.45 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „მშობის სტრიქონები“. 20.50 — ახალი ამბები („სოფლის სადღეისო საზრუნავი“). 20.55 — „სცენა და დარბაზი“. სსრ კავშირის სახალხო არტისტის გიორგი ტოფსტონოგოვის დაბადების 70 წლისთავის გამო. (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ხვალ—ტელეეკრანზე“. 22.40 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. თბილისის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (ვიდეოჩანაწერი). 23.20 — ახალი სიმფონიური სეზონი. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „რუსეთი არ დაიგიწყებს“. 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა“. 18.25 — აბიტურიენტთათვის — ქიმია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ჩვენი კრენგოლმი“. „სტავროპოლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „უფინიშო სტარტები“, „კოშკების ქვეყანაში“. 11.00 — „გაგაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა ბგრ-დან). 12.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყარაყუმელი მძღოლები“. 12.15 — „საესტრადო პანორამა“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 17.00 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „